

# გეოგრაფია







# ჰოთის ნავსაყუდარი



130 წლის ნავსადგური





# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

## ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 15 და 16 მარტს შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მოწყობის შესახებ.

2. თანამედროვე პირობებში პარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ. პლენუმს დაესწრნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

ინფორმაციით პირველ საკითხზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. პ. კოპტიშკი. ინფორმაცია პრესაში გამოქვეყნდა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ყველა კანდიდატი არჩეულ იქნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან.

პლენუმმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების განაწესების შესახებ, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

მოსენება თანამედროვე პირობებში პარტიის აგრარული პოლიტიკის საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად პლენუმზე მოიწვიეს სასოფლო რაიკომების მდივანების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, მოიჯარეების, მეცნიერებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა მუშაკების ჯგუფი.

პლენუმის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ წინასწარ გასცნობოდნენ პარტიის აგრარული პოლიტიკის საკითხებზე შემუშავებული დოკუმენტების პროექტებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მოამზადა სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დებულებათა შესაბამისად.

კამათში გამოვიდნენ: ვ. ი. პოტაპოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დ. კ. მოტორნი — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, უკრაინის სსრ, ა. მ. კ. ბრაზაუსკასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ი. ლუკინოვი — საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ი. ი. ლიტვინცევი — სკკპ ტულის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. მურახოვსკი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე, ე. ი. ჩაშოვი — სსრ კავშირის ქანმრთელობის დაცვის მინისტრი და სხვა ამხანაგები.

დასასრულს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ვ. პ. ტიხომიროვმა — მოსკოვის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის შიგნითარსებმა ხარატმა, ვ. ა. პეტროვმა — საწარმოო გაერთიანება „მალიშევის სახელობის ქარხნის“ ხარატმა, ქ. ხარკოვი, ვ. ა. ზატვორნიცკიმ — საპროექტო-სამშენებლო გაერთიანება „მოსკოვშენის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა და სხვა ამხანაგებმა შეიტანეს წინადადება, განიხილონ და შეაფასონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის ბ. ნ. ელცინის ზოგიერთი გამოსვლა, რომლებიც, მათი აზრით, ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მითითებებს, პარტიულ ეთიკასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საწესდებო ნორმებს.

პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია, დაავალოს კომისიას სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობით ყურადღებით შეისწავლოს ეს საკითხი და თავისი დასკვნები მოახსენოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

# დროშა

№ 4 (628), აპრილი, 1989

ურჩნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერატორ-სამხატვრო ჟურნალი

### ნომერი 4:

ოთარ ჭინჭლაძე. გარდაქმნის ბაკვეთილება.

პარლო კომასნიძე. ფოთის ნავსა-უშდარი.

სარგის ცაიშვილი. კომეტური იად-ბარი.

ნუგზარ აფხაზავა. ერთი ღამის რე-მანტიკა.

არნოლდ გეგეჭკორი. კობრა, კითო-ნი და ძმანი მათნი.

რომან გოცირიძე. ეპოლოგიური საფრთხე.

ბიგული. გურამ თაქთაქიშვილი. ფუტკარი.

თეიმურაზ მიხაშანი. მახვრის მო-ნოლოგი.

ვლადიმერ სოლოუხინი. რატომ არ მოვაწერა ხელი იმ წერილს?

გივი ჭელიძე. სიმღერა სასაფლა-ოზე.

ნ. ვასეცკი. ვინ მოკლა ტროცკი და რატომ?

ელგუჯა ბერიშვილი. პასუხს ჩამვი-ონატი გაგვცემს.

პანორამა. კროსკორდი.

საპარტეზლოს კვ ცა-ის გამოცემილება

© „დროშა“, 1989 წ.

### მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

### სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვატაძე, ნათელა გიორ-გოგიანი, ოთარ დეპეტაშვილი, სარგო ღურ-მიშიძე, ვახტანგ ეხვანჯია, ჯემალ მახრი-შვილი, დინარა ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.



ანუ

## ოთარ ძინელაძე. გზა რომელიც ტაძართან მიგვიყვანს

1985 წელი.  
აპრილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

დღის წესრიგი: სკკპ მორიგი XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანები.

მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა.

ახლა 1989 წლის აპრილია.

და მე ხელმეორედ ჩავიკითხე მოხსენება, რომელსაც მაშინ, ამ ოთხი წლის წინ, გავეცანი.

გამოგიტყდებით რომ, ახლა წაკითხულმა აჯობა მაშინდელს. უთუოდ იმიტომაც, რომ ჩანაფიქრსა და მიღწეულს შორის ოთხი წლის ძნელად სავალი გზა დევს.

მ. ს. გორბაჩოვი მაშინ, როცა 1985 წლის აპრილი იდგა:

— ზრდის ტემპის დაჩქარების, თანაც არსებითი დაჩქარების ამოცანის შესრულება სავსებით შესაძლებელია, თუ მთელი ჩვენი მუშაობის ცენტრში დავაყენებთ ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, გარდაქმნით მართვასა და დაგეგმვას, სტრუქტურულ და ინვესტიციურ პოლიტიკას, ყოველნაირად ავამაღლებთ ორგანიზებულობასა და დისციპლინას, ძირეულად გავაუმჯობესებთ საქმიანობის სტილს.

— დროა. შევუდგეთ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფას, გავაუქმოთ ზედმეტი რგოლები, გავამარტივოთ აპარატი, გავზარდოთ მისი ეფექტიანობა. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ მართვის ზოგიერთი რგოლი დაბრკოლებად გადაიქცა და წინსვლას აფერხებს. მკვეთრად უნდა შევზღუდოთ ინსტრუქციების, დებულებების, მეთოდოლოგიების რიცხვი, რომლებიც თვითნებურად განმარტავენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ბოჭავენ საწარმოთა დამოკიდებულებას.

— საჭიროა გავზარდოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვაში, მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

მაშინ, 1985 წლის აპრილში, აღვიქვით ჩვენ პირველად ისეთი ცნებები, როგორცაა გარდაქმნა, საჯაროობა, დემოკრატიზაცია.

ჯერ იყო სიტყვა.

და მერე საქმე.

მ. ს. გორბაჩოვი ახლა, ოთხი წლის შემდეგ:

— მაღე ოთხი წელი შესრულდება იმ მომენტიდან, როცა პარტიამ ხალხს მოუწოდა ქვეყნის რევილუციური განახლებისათვის. ეს დრო აღინიშნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმაგალითო ინტენსიურობით. საბჭოთა საზოგადოება, როგორცაა იგი ახლა გამოიყურება და გათვითცნობიერებული აქვს თავი, უკვე ბევრი რამით გამოიჩინა იმისაგან, როგორც იგი 1985 წლის დამდეგს იყო. უძრაობის ატმოსფერო შეცვალა საჯაროობამ, გაცხოველებულმა დისკუსიამ, მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ ბოლომდე, უკომპრომისოდ გავერკვეთ ყველაფერში, რამაც მიგვიყვანა კრიზისის წინა მდგომარეობამდე, გამოვათავისუფლოთ ჩვენს ხალხში დაბუდებული მძლავრი ენერჯია.

მართალია ეს.

ჩვენ დღეს აღარა ვართ ის, რაც თუნდაც ამ ოთხიოდე წლის წინ ვიყავით.

უძრაობის ატმოსფერო მართლაც შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტივობითაც და ინტენსიურობითაც. მეტი გასაქანი მიეცა ინიციატივას, თვითმოქმედებას, არასტანდარტულ აზროვნებასა და მოქმედებას. შეიცვალა ფაქტებისა და მოვლენებისადმი მიდგომა, მისი კრიტიკიუმი. ყოველივე ეს,

პოზიტიურ გავლენას ახდენს როგორც მატერიალური, ასევე სულიერი სფეროების განვითარებაზე, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვეძლო მეტი გავგეკეთებინა, რათა უკეთესობისკენ შეგვეცვალა სიტუაცია.

ეს არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა.

იმიტომ, ჩემის აზრით, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი რამ გვიშლის ხელს და წინაც გველობება, ვიდრე უბრალო მოდრომებაა, მისი დეფიციტი.

საქმე ის არის, რომ დემონტაჟს საჭიროებს გარდაქმნის და-მუხრუჭების ჯერ კიდევ არსებული და მომქმედი მექანიზმი.

და ისიც, რომ ჩვენ ჯერ ბოლომდე და უკომპრომისოდ მაინც ვერ გავერკვეთ ყველაფერში, რამაც კრიზისის წინა მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

ოთხი წელი კი არც ისე ცოტა დროა და ამ ხნის განმავლობაში ის მაინც შეგვეძლო მოგვეხერხებინა, რომ არსებითში გავრკვეულიყავით თავიდან და ბოლომდე.

ვერ მოვახერხებთ.

ვერც მოვახერხებთ, თუ ამბავი თავიდან ბოლომდე არ მოვეყვით, თუ ამ მონაყოლში რაღაც გადავმალოთ ან დავამახინჯებთ, თუ არ მოვიხმეთ გონიერება და ვერ შევძელით ჩვენ ხალხში, კერძოდ ახალგაზრდობაში, დაბუდებული ენერჯის გამოთავისუფლება.

მე ძალზე მაფიქრებს ის რომ, გარდაქმნაში სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის როლი, სამწუხაროდ, ვერ აღმოჩნდა მისივე პასუხისმგებლობის ტოლფასი, რასაც საგრძნობი ზიანი მოაქვს. რას გვაძლევს, მაგალითად, მართოდენ სათავგადასავლო ხასიათის უბრალო თხრობით გატაცება ყოველგვარი ანალიზის, ფაქტებისა და მოვლენების შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის გარეშე?

თავად განსაჯეთ.

აბა, რად ვარგა, ან ვის რაში სჭირდება იმის მტკიცება, თითქოს ყველა ჩვენი უბედურების მიზეზიც და შედეგიც თურმე მხოლოდ და მხოლოდ ის ყოფილა, რომ ეროვნებით ქართველი „აზიატი“ ი. ბ. სტალინი უკულტურო, გაუნათლებელი „პიროვნების კულტი“ და უხეირო ხასიათის ადამიანი იყო.

კარგი რა!

რაც გამოვიარეთ, განვიცადეთ და სანამდეც მივედი, ეს ახლა უკვე ცნობილია, მაგრამ ყოველივე ამის გამომწვევ რეალურ მიზეზებს მაინც ვერ ჩაეწვდით. ისიც სათქმელია, რომ არ ეკადრება რუსულენოვან მწერალს და პუბლიცისტს, მით უფრო მეცნიერს დამამკირებელი, შეურაცხმყოფელი, ცინიკური და ლამის ლანძღვა-გინებისანი სტრიქონების ავტორობა. არც იმის წერა, რაც მართალი არ არის და რასაც არავინ დაგიჯერებს.

ასეა ეს.

თანაც, თუ სათქმელი რამ გაქვს და ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზიასაც აცხადებ, ამბავი თავიდან მაინც უნდა დაიწყო და ბოლომდე მოყვე ისე, რომ ტყუილში, თვალთმაქცობაში და რალაც-რალაცეებისადმი მიკერძოებულ დამოკიდებულებაში არავინ დაგიჭიროს.

მთელი სიმართლე უნდა ითქვასო. სრული სიმართლეო.

კი, ბატონო!

თქვი მერე, ვინ ვიშლის?


თითქოს, არც არავინ.

და მეც, ისიც ამ ბოლო ხანს, კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც ამოვიკითხე ზოგიერთი ისეთი რამ, რაც აქამდე არ ვიცოდი.

მადლობელი ვარ ამისათვის მოსკოვური ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციების ზოგიერთი ავტორისა.

არ ვიცოდი, მაგალითად, რომ ავადმოსავონარი „ხალხის ნეტარი“, „საკონცენტრაციო ბანაკი“, „შრომის ბანაკი“ და მათთან დაკავშირებული დაპატიმრება, გადასახლება, დახვერტა გა-





ცილებით უფრო ადრინდელი წარმოშობისა ყოფილა, მე კი 30-იანი და მომდევნო წლების ნამოქმედარი მეგონა. გაცილებით უფრო ადრე გამხდარა საკონცენტრაციო ბანაკი პატიმართა მუქთი შრომის გამოყენების საშუალებაც. არც ის ვიცოდი, რომ მიწის აქტიური სოციალისტების პროცესი 1918 წლიდან დაწყებულია, როცა კულაკებს 50 მილიონი ჰექტარი მიწა ჩამოართვეს და არსებითად განხორციელდა კიდევ კულაკობის ლიკვიდაცია. მომდევნო 1919 წელს კი გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულება „სოციალისტური მიწათმოქმედებისა და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“. სწორედ მაშინ გაჩენილა და ისიც თითქმის ერთბაშად 5000 საბჭოთა მეურნეობა და 6.000 კოლმეურნეობა. მე არც ის ვიცოდი, რომ სამოქალაქო ომში მარტოოდენ „წითლები“ და „თეთრები“ კი არ ებრძოდნენ ერთმანეთს, არამედ ორივეს ერთად ებრძოდა მონაცვლეობით მესამე ძალა — ამბოხებული გლეხობა.

მე ახლა უკვე ვიცი, როდის და როგორ დაწყებულია გლეხობის გაუცხოება, როცა მხარს ჯერ მას უჭერდნენ მემამულეების წინააღმდეგ, ხოლო მერე კი პროლეტარიატს, უკვე გლეხობის წინააღმდეგ.

სულმა წამძლია და პარტიის ადრინდელი ყრილობების სტენოგრაფიულ ანგარიშებსაც გავეცანი. აღარ არის საშიში, ნებადართულია და მეც გავეცანი. აი, რუსეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა. 1920 წელი. ვ. ი. ლენინის შესავალი სიტყვა და ... ლ. ბ. ტროცკის მოხსენება სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

ლ. ბ. ტროცკი:

— ადამიანი საკმაოდ ზარმაცი ცხოველია. იძულება დიდ როლს ასრულებს და კვლავაც შეასრულებს ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში. სამხედრო დარგში არსებობს სათანადო აპარატი, რომელიც ამოქმედდება, რათა აიძულოს ჯარისკაცები, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. ამა თუ იმ სახით, ასევე უნდა იყოს აგრეთვე შრომის დარგშიც. ეს მილიტარიზაცია წარმოუდგენელია ისეთი რეჟიმის დამყარების გარეშე, რომლის დროსაც თითოეული მუშა თავს იგრძნობს შრომის ჯარისკაცად, რომელსაც არ შეუძლია, იყოს თავისი თავის თავისუფალი განმგებელი. თუ დანიშნულია მისი სხვაგან გადასროლა, მან იგი უნდა შეასრულოს, თუ არ შეასრულა — იგი დეზერტირია, რომელსაც დასჯიან. იძულება შრომის ორგანიზაციაში ვეებერთელა როლს ასრულებს.

დიახ, დიახ! ეს სწორედ ის ლ. ბ. ტროცკია, რომელმაც ორთაბრძოლა ი. ბ. სტალინთან წააგო და დიდძალი ხალხიც იმსხვერპლა.

არადა, ვ. ი. ლენინის ცნობილი ანდერძის მიხედვით, მაშინდელ ცეკაში, ეს ორად ორი ბელადი ყოფილა.

რატომ მაინცდამაინც ეს ორი?

ან რას მოიქმედებდა, მაგალითად, ჩვენთვის უცნობი მესამე? ყოველივე ეს მეც, შენც და სხვასაც ყველას აქამდე უნდა გვცოდნოდნა.

თუნდაც იმიტომ, რომ გასაგები ყოფილიყო 30-იანი და შემდგომი პერიოდის მოვლენებიც და პროცესებიც. ისიც, თუ შემზარავი „სტალინური რეპრესიების“ შემდეგ, რა ძალა ამოძრავებდა ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის დამთრგუნველ მანქანას? მერცე. სულ ბოლო დრომდე. სულ ახლახან.

აი, რა არის გამოსაკვლევი და დასადგენი.

ი. ბ. სტალინის პიროვნულ თვისებებში კი არა, თავად სტალინიზმის ფენომენშია საჭირო გარკვევა, იმ მიზნებში გვჭირდება ჩახედვა, რომლებმაც ეს ფენომენი შევს. ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ჩვენ კი სტალინიზმის მანკიერება საქართველოს უახლეს ისტორიასთან მიმართებაში დავსაბუთოთ, დავგმოთ იგი და, რაც მთავარია, უკუვაგდოთ ჩვენი რეალური ყოფიერებიდან და ცნობიერებიდან ყოველივე, რაც გარდაქმნის პროცესს ამუხრუჭებს.

ამ სამანხევარი ათეული წლის წინ გარდაცვლილი კაცი ვერ დაგამუხრუჭებს დღეს შენ.

სხვა რაღაცაშია აქ საქმე.

მე ასეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ვილაყეები ცდილობენ, წარსულის „ხელ-ცხელი“ ამბების მოყოლით გავვართონ და მთელი ჩვენი ყურადღება იმ გუშინდელზე გადაიტანონ, ხოლო გარდაქმნის დამუხრუჭების მექანიზმი ხელუხლებელი დატოვონ და, მაშასადამე, პრობლემებიც, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოგვცა.

დიდი საქმეა, მაგრამ განა საკმარისი, მაგალითად, დავგმოთ თეზა სოციალისტური მშენებლობის პროცესში კლასობრივი

ბრძოლის გამწვავების თაობაზე, რასაც სრულიად გაუმართლებელი მასობრივი რეპრესიები მოჰყვა, და ამაზე ვაგჩერდეთ?

ნუთუ სხვა აღარაფერია დასაგმობი, არც გლეხობისადმი დამამკვიდრებელი რეპრესიების საკითხში, არც ქართველი ერის ჩამოყალიბების ან ერთაშორის ურთიერთობის, ეკონომიკური სტიმულირების, მართვისა და ხელმძღვანელობის არანახული ცენტრალიზაციის, დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლისა და სახელმწიფო სისტემაში მათი ადგილის, აგრეთვე სხვა სადღესოდ უაღრესად სასიცოცხლო საკითხებში? საერთოდ — სსრ კავშირის მასშტაბით.

საქართველოსთვისაც, კერძოდ და განსაკუთრებით. აქაც ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი.

მაგალითად, როგორ და რა პირობებში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში?

ვინ იყვნენ და რას წარმოადგენდნენ ამ საქმის მაშინდელი თავკაცები?

რა მოიმოქმედეს ქართველმა მენშევიკებმა და როგორ გაჩნდა ქართული ემიგრაცია?

სად და რა შეცდომა იქნა დაშვებული, ან ვინ და როდის დაუშვა იგი?

და საერთოდ, ვიცოდეთ უნდა თუ არა ჩვენ ყველაფერი, რაც გვცხება და რაც ჩვენს თავზე დატრიალდა? თუნდაც 1924 წელი.

კითხვები ბევრია და თითოეული ამომწურავ, ობიექტურ, არგუმენტირებულ პასუხს ითხოვს.

ესეც გარდაქმნის გაკვეთილია. იგი დაგვეხმარება, ვიართო გზით, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს.

მე ის მაფიქრებს, რომ თუ ქართველმა ისტორიკოსებმა ველარც ამჯერად შეძლეს მოვლენებისა და პროცესების ჭეშმარიტად მეცნიერული კვლევა, აღარ ყოფილა ჩვენი საშველი. არადა, მაინცდამაინც დიდი იმედის მომცემი ჯერ არაფერი ჩანს. სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მაქვს მხედველობაში და არა ცალკეული „პოლიტიკური პორტრეტები“, რომლებიც მოსკოვურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ავტორებმა შემოგვთავაზეს.

ქართველების აბუჩად აგდების, შეურაცხყოფისა და დამცირების უგუხურმა რეციდივებმა რასულ ჰამზატოვსაც კი ათქმევინა, რომ მას არ აგონდება ისეთი სიტუაცია, როცა დღევანდელივით, ანტიქართულ განწყობილებას, მაგალითად, იმ ფაქტით აღვივებდნენ, რომ ბერია წარმოშობით ქართველი იყო.

სხვა ჩვენ არავინ გამოგვექომაგა.

იქნება არც არის საჭირო დამცველები სხვაგან და სხვებში ვეძიოთ ან გაუთავებლად ვიძახოთ, რომ რას გვერჩით, არა ვართ ჩვენ ცუდი ხალხიო.

ეროვნული თავმოყვარეობის საქმეა ეს.

ანტიქართულმა ტენდენციამ ხელი ეროვნული თვითშეგნების ამოღებას შეუწყო და ეს უფრო მნიშვნელოვანი რამ არის.

ბევრ რასმეს სწავლობს კაცი გარდაქმნის გაკვეთილებზე. ცხადია, თუ ყურადღებით უსმენ და საშინაო დავალებასაც ბეჯითად ასრულებ.

მე ყურადღებით გავეცანი საქართველოს სსრ სტატსაკომის ცნობას „საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1988 წელს“.

საქმე თითქოს არც თუ ურიგოდ უნდა მიდიოდეს, თუ რა თქმა უნდა, ახლა მაინც სწორ მონაცემებს გვაწვდის ოფიციალური სტატისტიკა. ცუდი კი ის მეჩვენა, რომ ზარალიანი მეურნეობების რიცხვი მაინც დიდია. მეურნეობა, ისიც სოფლის, არ შეიძლება ზარალიანი იყოს. არ უნდა იყოს და ალბათ შეიძლება კიდევ, რომ არ იყოს. იქნება დროა, ხელოვნურად შექმნილ საბჭოთა მეურნეობებს პირვანდელი სახე დაუბრუნოთ და გლეხი ისევ გავხადოთ მიწის ბატონ-პატრონი, როგორც ეს თავიდან ყოფილა ჩაფიქრებული — მიწა გლეხსო, და ვუთხრაო: აი, შენ მიწა, რაც გინდა ქენი, ამ მიწას როგორც გინდა ისე მოუარე და თავიც თითონ ირჩინე, მაგრამ ნურც ჩვენ დაგვბოცავთ შიმშილითო. იქნება ამ ზარალიანი მეურნეობებიდან დაგვეწყო და ვნახოთ რა გამოვა?

ისიც სათქმელია, რომ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 0,15 ჰექტარი სახნავი მიწა მოდის. ეს ძალზე ცოტაა და ისედაც მცირერიცხოვანი ქართველობა მცირემიწიან ქვეყანაში ვცხოვრობთ.

გავუფრთხილდეთ მიწას — ჩვენს საერთო საკუთრებას.

არ ვუფრთხილდებით.

იყიდება საქართველო...



უთუოდ ამის გამო, აგრეთვე ჩვენივე უყურადღებობისა და საერთო განუკითხაობის მიზეზით თითქმის მასიური ხასიათი მიიღო მიწის ნაკვეთების მიტაცებამ და საცხოვრებელი სახლების კანონსაწინააღმდეგო მშენებლობამ. წესისა და კანონის დაცვა ქართველსაც მოეთხოვება და არაქართველსაც, მაგრამ საგანგაშოა, როცა ისედაც მცირემიწიანობის პირობებში ადგილი აქვს რესპუბლიკის გარედან მოქალაქეთა ჩამოსახლებას და მათ ჩაწერას.

ნათქვამის დამადასტურებელი ფაქტები, სამწუხაროდ, მრავლადაა.

ძველიც.

და ახალიც.

განმკითხავი ვინლანა?

იგი სულ ახლახან გამოჩნდა და კიდევ შეიქმნა მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის ფართო წარმომადგენლობითი რესპუბლიკური სამთავრობო, აგრეთვე ადგილობრივი კომისიები. უკვე შემოწმდა გარდაბნის, მარნეულის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში მიწათსარგებლობის მდგომარეობა და აღმაშფოთებელი დარღვევებიც გამოვლინდა.

მაგრამ.

მაგრამ ის, რომ ყველამ უნდა ვიცოდეთ ვინ, სად და რა ფასად გაყიდა ქართული მიწა და ვის მიყიდა იგი.

ზოგიერთი სხვა საზრუნავიც გავვიჩინეს გარდაქმნის გაკვეთილებმა.

მაგალითად.

გარდაქმნის საკმაოდ რთულმა, წინააღმდეგობრივმა პროცესმა და მასთან დაკავშირებულმა სიძნელებებმა, აგრეთვე საჯაროობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, დემოკრატიზაციის ახალ პირობებში მუშაობამ აშკარა გახადა ბევრი ჩვენთაგანის აქამდე შენიღბული არაკომპეტენტურობა, დაბალი პროფესიონალიზმი და შრომის კულტურა.

რაიმე უნდა ვილონოთ.

როგორც იქნა, გარდაქმნის მეოთხე წლის თავზე, ქართველმა ეკონომისტებმა აქტიურად მოკიდეს ხელი რესპუბლიკის სრულსამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებას, მაგრამ დრო მიდის, ხოლო რამდენადმე სრულყოფილი კონცეფციების ჩამოყალიბებაც კი ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. ის კი არადა, ზოგჯერ თურმე სტატისტიკური მასალის ანალიტიკური დამუშავებაც კი გვიჭირს ხოლმე და ასეთ ვითარებაში, აბა რა დასკვნების გამოტანაზე ან სამომავლოდ გამიზნული რეკომენდაციების გამომუშავებაზე შეიძლება ლაპარაკი.

ტაძართან მისასვლელ გზაზე სიარულსაც ხომ ცოდნა, შეძლება და უნარი სჭირდება?

და ზოგიერთი სხვაც გვაქვს გასათვალისწინებელი გარდაქმნის უკვე ჩატარებული გაკვეთილებიდან.

ჩემზე, მაგალითად, უკვე დამაღონებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ბოლო დროინდელი სატელევიზიო „მრგვალი მაგიდა“. ოჯახებში, ჩვეულებისამებრ, მამები და შვილები ერთ მაგიდას ვუსხედვართ და ისე ვსაუბრობთ. აქ კი მარტო მამები იკრიბებიან და შვილებს ისე ელაპარაკებიან, რომ ვერც კი ხედავენ მათ.

არ ვარგა ასე.

არ ვარგა, როცა მამა შვილს ვერ ხედავს და ისე ელაპარაკება. არც პირიქით ვარგა. ორივემ ერთმანეთს თვალებში უნდა ვუყუროთ, სიმართლე ვუთხრათ და ერთად ვეძიოთ ჭეშმარიტება.


და ერთად, ხელიხელჩაკიდებულებმა ვიაროთ იმ გზით, რომელიც ტაძართან მოგვიყვანს.

ასე მგონია მე.

ამასაც გარდაქმნის გაკვეთილები გვასწავლის.

ახლა მთავარია, არ ავცდეთ იმ გზას, რომელსაც 1985 წლის გაზაფხულზე დავადექით.

რამეთუ, რა საჭიროა გზა, თუ ის ტაძართან არ მიგიყვანს.



ის დიდი საზღვაო კარის რეპუტაცია.

ფოთი სანავსადგურო ქალაქად აქურთხეს 1858 წლის ნოემბრის ბოლოს. როგორც მეისტორიენი ვადმოგვცემენ, მაშინ მისი ტერიტორია თითქმის მთლიანად ჭაობებით ყოფილა დაფარული და მოსახლეობა ოთხი ათასს ძლივს აღწევდა. საიმპერატორო ბრძანების ტექსტს თურმე მაღალ ოჩოფებებზე შემდგარი რამდენიმე პიროვნება კითხულობდა, რადგან წყლიან ადგილებში ჩვეულებრივად გავლა არ შეეძლოთ.

უფრო შორეულ საუკუნეებში კი ფაზისი დაწინაურებულ მხარედ ითვლებოდა. მას თავისი აკადემია ჰქონდა. მრავალი უცხოელი მოგზაური, კოლონიზატორი და ბედის მძიებელი აქეთკენ მოისწრაფვოდა, რათა მისი მიწაწყლის სიმდიდრით ხელი მოეთხო.

სწორედ ამის საფუძველზე იშვა არგონავტების მიერ კოლხეთის სამკვიდროდან ოქროს ვერძის გატაცების ლეგენდა, რომელიც ბერძენი იაზონისა და კოლხელი მედეას უიღბლო სიყვარულს დაეფუძნა.

ბერძნული ლეგენდის მიხედვით შემდგომში ივარქმნილი, დაკნინებული და დაჭაობებული მხარის წელი გამართვა, მოლონიერება და განვითარება დაკავშირებულია ნავსადგურთან, რომლის 130 წლისთავი ახლახან ზეიმით აღინიშნა.

ფასდაუდებელია ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი, რომელიც 18 წელი ფოთის ქალაქის თავი იყო. მან ყურად არ იღო თანამოკალმეთა ქარაგმული ჩაგონება — ბაყაყიან ფოთში რა სიკეთეს მოელოთ და ქალაქი და ნავსადგური ცხოვრების აზრად გაიხადა, გამოაჩინა და განადიდდა. მადლიერმა შთამომავლობამ ნიკო ნიკოლაძეს ძეგლი ნავსადგურის ისეთ საჩინო ადგილზე დაუდგა, საიდანაც მშენიერად მოჩანს ზღვისპირა ლაყვარლოვანი პანორამა.

ნავსადგური ამჟამად თავისი რეკონსტრუქციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით, რომელსაც შარავანდელით მოსავეს ხალხთა ინტერნაციონალური ძმობამეგობრობის ტრადიციები. კოლექტივს შრომითი მეტოქეობა აქვს დამყარებული ქალაქების — რიგის, ბაქოს, კრასნოვოდსკის, ტუაფსეს, ბერდიანსკისა და ილიჩოვსკის ნავსადგურის თანამოსაქმეებთან, რომელთა წარმომადგენლები ფოთელთა ზეიმის უშუალო მონაწილენი იყვნენ.

ამჟამად ნავსადგურის მისადგომებთან ლუზას უშვებენ საბჭოეთისა და უცხოეთის მრავალი ქვეყნის გემები. მათი დაცლა-დატვირთვის სადღეღამისო ოპერაციები ჩქაროსნული მეთოდით (გემი-ვაგონი-გემი) სწარმოებს. მოწინავეებად იცნობენ დამრიგებელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ფოთის საპატიო მოქალაქეს გივი გუგუშვილს, ბრიგადირებს, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ბურსა ჯიქიძეს, მიხეილ გერგაულოვს, აკაკი მეჭვავიშვილს, მამია ნადარაიას, დავით კულუას.

ნავსადგურს თავიდანვე დაებედა შრომითი დინასტიების ტრადიცია. ასეთი დინასტიები საკმაოდ იყო და დღესაც არის.

# საქართველო



მათ მიეკუთვნებიან გაბუნების, მამალა-  
ძეების, ლამბაროების, უდავიჩენკოების,  
ბახტაძეების, ბერაიების, დანელიების, გა-  
წერელიების ოჯახური დინასტიები. მარ-  
ტო უდავიჩენკოთა დინასტიის ანგარიშ-  
ზეა ნავსადგურში გატარებული 240 წელი.  
ნავსადგურის იუბილარი — 1300-წევ-  
რიანი მრავალეროვნული კოლექტივი ჩვე-  
ული შემართებით ვანაგრძობს შრომას.

### 60 წლის კოლხეთის ფილიალი

თუ ნავსადგურის კოლექტივს ზღვასთან  
უწევს დაძაბული შრომა, ქალაქის მეორე  
იუბილარს, კოლხეთის ფილიალის 350-  
წევრიანი კოლექტივი მიწას ეკიდება. იგი  
საქართველოს ყამირად მიჩნეულ კოლხე-  
თის ათვისების ერთ-ერთი პირველი გზა-  
მკვლევეა, რომელიც 1929 წლის ზაფხულ-  
ში შეიქმნა და დღეს ხალხთა მეგობრობის  
ორდენოსანი სპეციალური სამშენებლო  
ორგანიზაციის — ტრესტ „კოლხეთმშენ-  
ის“ ფილიალის სახელს ატარებს. კოლ-  
ხეთის ფილიალის შექმნაში დიდი წვლი-  
ლი მიუძღვის სოფლის მეურნეობის მეც-  
ნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექ-  
სანდრე მოწერელიას.

ფილიალის სამოქმედო არეალი დასავ-  
ლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლშია  
მოქცეული, რომლის საერთო ფართობი  
611 ჰექტარს შეადგენს. მათგან 350,1 ჰექ-  
ტარზე გაშენებულია მრავალწლიანი ნარ-  
გავები (ჩაი, ციტრუსი, ფეიჰოა, ტუნგო,  
ხილი, დაფნა, ბამბუკი, სუბტროპიკული  
ხურმა, ევკალიპტი), ხოლო დანარჩენი  
ერთწლიან კულტურებსა და სათიბებს უკა-  
ვია.


მიწის მთელი ეს ფონდი მეტნაკლები  
ოდენობით მიმავრებულია ოთხ ექსპერი-  
მენტულ ბაზაზე (აბაშის, ვალის, ხობის,  
ფოთის რეგიონები) და თითო უბანსა და  
ნაკვეთზე.

ამ ბაზების პლანტაციებსა და სავარგუ-  
ლებში შესაბამის მეცნიერულ კვლევა-ძი-  
ებას წარმართავენ ფილიალთან არსებული  
მელიორაციის, აგროქიმიის, აგროტექნი-  
კის, მექანიზაციის, ფიზიოლოგია-ზოოლო-  
გიის განყოფილებები და მელიორაციული  
მიწათმოქმედების, ნიადაგმცოდნეობის,  
ბიოქიმიის ლაბორატორიები და სატყეო  
სექტორები.

ჩვენი ფილიალის პირველი რიგის  
ამოცანა იყო და არის, — გვითხრა მისმა  
დირექტორმა, ტექნიკურ მეცნიერებათა  
კანდიდატმა გრამიტონ კვიციანიძემ, —  
კოლხეთის დაშრობილი ნიადაგების შეს-  
წავლა და საჭირო რეკომენდაციების შე-  
მუშავება სამხრეთული კულტურების მა-  
ღალი მოსავლის მისაღებად, ახალგაზრდა  
მეცნიერთა მომზადება და მათი მოქმედ-  
ების კოორდინირება სასურსათო პროგრამის  
გადაწყვეტაში აქტიური წვლილის შე-  
სატანად.

დღეისათვის ფილიალს სამეცნიერო  
ხარისხის მქონე 17 მუშაკი ჰყავს, სამეც-  
ნიერო ხაზით მუშაობაში ჩაბმულია 65  
ახალგაზრდა. მათდაში პრაქტიკული და  
მეთოდური დახმარების გასაწევად შექმ-  
ნილია სამეცნიერო-ტექნიკური და ახალ-  
გაზრდა მეცნიერთა საბჭოები. უკანასკ-  
ნელ ორწლიანი დასაწყისში საკანდიდატო  
დისერტაცია დაიცვა ხუთმა მუშაკმა.

ფილიალი თავის სამოქმედო რეგიონებ-  
ში ნერგავს სასოფლო-სამეურნეო კულ-  
ტურების მოსავლიანობის გადიდებისათ-  
ვის შემუშავებულ ღონისძიებებს. მაგალი-



თად, საკმაოდ შედეგიანია ხობის რაიონის  
საბჭოთა მეურნეობა „ოქროს საწმისისა“  
და შუა ხორგის სამეურნეო მცენარეთა  
მეურნეობაში სავარგულების რაციონა-  
ლურად განლაგებისა და ევკალიპტის ამო-  
ნაყარის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური  
რეკომენდაციები. ასევე სასარგებლო უკუ-  
გებას იძლევა აბაშის რაიონის ზანათის მე-  
ურნეობაში ჩაის, ევკალიპტისა და ტუნ-  
გის აგროტექნიკური სიახლენი.

გამომგონებლებიც მოიძებნებიან ფი-  
ლიალში. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდი-  
დატმა, ომისა და შრომის ვეტერანმა ნი-  
კოლოზ კიხალიძემ შექმნა ჩაის მძი-  
მედ სასხლავი ხელის მანქანა, რომელიც  
ერთი ჰექტარი ჩაის გასხლაზე იძლევა  
591 მანეთის დანახოვს, ხოლო დაფნისა  
და ევკალიპტის ტოტების დამუშავებისას  
ზოგადას შესაბამისად 608-561 მანეთს.

ფილიალის საქმიანობის მეორე მიმარ-  
თულებაა მწარმოებლურ-სასურსათო პროგ-

რამა. ამ სფეროს განაგებს მთავარი აგრო-  
ნომი ალექსანდრე ვაშალომიძე. შარშან  
ჩაის ჩაბარების გეგმა 118,3 პროცენტით  
შეუსრულდებათ, დაფნის — 111, ხილის —  
118, სიმინდის — 112, სილოსის — 109,  
თივის — 104, ციტრუსებისა — 110 პრო-  
ცენტით. 180 ტონის ნაცვლად სახელმწი-  
ფოს მიეყიდა 320 ტონაზე მეტი ნაყოფი.  
მთლიანმა ფულადმა შემოსავალმა 1.132  
ათასი მანეთი, ხოლო მოგება 243 ათასი  
მანეთი შეადგინა.

ფილიალი 1989 წლის იანვრიდან გადა-  
სულია სრულ სამეურნეო ანგარიშსა და  
თვითდაფინანსებაზე. ამიერიდან იგი ყვე-  
ლა ხარჯს საკუთარი ამონაგებიდან დაფარავს  
და გარკვეულ მოგებასაც დაიტოვებს.  
ეს იქნება მათი კოლექტიური ნობათი  
ფილიალის 60 წლისთავის ზეიმზე, რომე-  
ლიც ამ ზაფხულს გაიმართება.

კარლო კომახიძე.



## არსენ ივალთოელი

### მეფესა დავითს — მონაზონი არსენი

ამათა მიმართ რასა იტყუი, რასა  
სიბრძნის-მყოყარეო, შენ, უფროსად ბრწყინვალეო,  
თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო,  
რომელი-ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულისა სოფლისა შორის;  
საჩინო, ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის;  
ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის;  
ნათლის-ფერ, ვითარცა ელვაბა ღრუბელთა შორის;  
ციხკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის;

ტკბილ, ვითარცა არე უამთა შორის;  
ღმერთის სახე, ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის;  
გულისსათქუმელ, ვითარცა ოქროს მიწათა შორის,  
ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის,  
მალა, ვითარცა ფინიქი ნერგთა შორის;

შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის;  
აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის;  
ძლიერ, ვითარცა ლომი მხეტთა შორის;  
მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუყუეთელთა შორის;

სახელგანთქუმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის;  
ახოვან, ვითარცა ისო წინამბრძოლთა შორის;  
მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღელელთა შორის;  
მხნე, ვითარცა სამფსონ მსაჭულთა შორის;  
უბრძოლელ, ვითარცა აქილევ ელღენთა შორის;


ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის;  
მშუილ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის;  
შურის-მეძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდელთა შორის;  
უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის.

განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუისტოს კეისართა შორის;  
კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი ისეო ღმერთთა შორის;  
ბუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთ-ქმნულთა შორის;  
მხურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის;

საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის;  
მკუირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის;  
სახის დასაბამ უცთომელის ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი  
კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის;  
სიმტკიცე კეთილად მსახურებისა ვითარცა თევდოსი  
სკიპტრის-მპყრობელთა შორის...

### დავით აღმაშენებლის ეპიტაფია

ვის ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დამეხსნეს,  
ოურქნი, სპარსნი და არაბნი საზღურთა გარე გამეხსნეს,  
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამეხსნეს  
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამეხსნეს.



ველი საქართველოს აღორძინების უველაზე დიდი ეპოქა უწინარეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ღვთივბრწყინვალე სახელებთანა დაკავშირებული.

არსენ ივალთოელი (XI-XII) ამ დიდი ეპოქის ერთი უველაზე თვალსაჩინო პიროვნებაა. იგი თვით დავით აღმაშენებლის ხულიერი მოძღვარი და უპირველესი თანამებრძოლი იყო. ზღვასავით ვრცელია მისი მეშვიდროება, ხოლო გაწეული დავალი წარუშლელია ქართული კულტურის ისტორიაში. აქ საქმარისია მართო ივალთოსა და გელათის აკადემიების გახსნება, რომელთა სათავეებთან სწორედ არსენ ივალთოელი იდგა.

არსენს ქართული პოეზიის სარბიელზეც შეუტანია თავისი წვლილი, რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენს დრომდეც მოაღწია.

მისი პოეტური მეშვიდროებიდან ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ ორი ნიმუში. ორივე ეძღვნება სწორედ დავით აღმაშენებელს და კარგად ავლენს, თუ რა დიდი მისია დააკისრა დრომ და ეპოქამ საქართველოს საჭეთმპყრობელს სრულიად საქართველოს შექმნა-აღორძინების საქმეში.

პირველი მათგანია პოეტური შესხმა-ორატორია „მეფე დავითს — მონაზონი არსენი“. ეს ძეგლი, რომლის ნაწყვეტს ვთავაზობთ მკითხველს, თავის დროზე ჩართული იყო რუის-ურბნისის სახელგანთქმული საეკლესიო კრების აქტებში, რომელიც „ძეგლისწერის“ სახელითა ცნობილი. „ძეგლისწერის“ შემდგენელია არსენ ივალთოელი, ხოლო უკანასკნელ გამოკვლევათა თანახმად აღნიშნული შესხმის ავტორი არსენიც სწორედ არსენ ივალთოელია. წინამდებარე ტექსტი ემყარება უკანასკნელ გამოცემებს, ოღონდ იგი გაშართულია ე. წ. „წყობილი სიტყვის“ პოეტური ფორმის ნიმუშების მიხედვით.

რაც შეეხება მეორე ნიმუშს „დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას“, რომელიც ბევრჯერა გამოცემული, წარმოდგენილია პავლე ინგოროყვას უკანასკნელი გამოცემის მიხედვით (თბ. ტ. III, გვ. 48).

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ღრმა აღმანიური სევდით აღბეჭდილი „ეპიტაფია“, რომელიც ასეთი შთამბეჭდავი პოეტური სიტყვით აჭამებს აღმაშენებლის ტიტანურ ძალისხმევას, როგორც თავისი ფორმით (რუსთველური დაბალი შაირი), ისე რიგი შინაარსობრივი დეტალებით, ქართული საერო პოეზიის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.

**შენიშვნები:** ერთგუამი — ერთიანი, მთლიანი, ერთგუამობა-მთლიანობა, ერთობა. აქ ფრაზაში „მეფეთა ერთგუამობა“ თვისებას, ერთპიროვნულობას ნიშნავს, რაც მეფეთა, ცხებულთა ეპითეტია. სამყარო — ზოგადად ცხა და ქვეყანას ნიშნავს, აქ სამყაროდ უმაღლესი ცა იგულისხმება, როგორც ეს ძველად წარმოედგინათ. იხ. „სამყარო ესე ცა არს უძრავი და მყარი გარეგან სხუათა ცათა“ (საბა). აღმოსავალი — აღმოსავლეთი. არე — აქ გაზაფხულს გამოხატავს და იგულისხმება, რომ ქების ობიექტი გაზაფხულივით ყველა დროზე უტკბესია. იაკინთი — იგვევა, რაც იავუნდი. მოლურჯო — ციხერი ქვა. ფინიქი — მალაღი ხე, იზრდება თბილ ქვეყნებში. ანდამატი — აღმასი, სიმტკიცის სინონიმი, განუყუეთელი ქვა. ისო — ბიბლიური პერსონაჟი, ფინეზ — იგულისხმება ბიბლიური პერსონაჟი ფინეზ მღვდელი ძე აარონისა, აქ ფრაზა „მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღვდელი“ ნიშნავს სიკეთის მოსწრაფეს, სიკეთის მქნელს, რაც მივსადაგება ქების ობიექტის, დავითის დახასიათებას. სამფსონ — ბიბლიური პერსონაჟი. აქილევ — იგულისხმება გმირი აქილევსი. სოლომონ — ბიბლიური პერსონაჟი სოლომონ ბრძენი. დავით — დავით წინასწარმეტყველი, ბიბლიური მეფე. იოსია — ბიბლიური პერსონაჟი, ფრაზაში: „ვითარცა იოსია შარავანდელთა შორის“ შარავანდელი მფლობას, მეფის გვირგვინის ქონას ნიშნავს. უზარო — უშიშო, ე. ი. ზარის, შიშის უქონელი. მაკედონელი — აქ იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი. ავღუისტოს კეისარი — რომის იმპერატორი (I). იესო — იესო ქრისტე. პეტრე, იოანე და პავლე — იესო ქრისტეს მოციქულები. კონსტანტინე დიდი, იმპერატორი (IV). თევდოსი პირველი — იმპერატორი (IV). ნაჭარმაგვევი — ძველი სამეფო რეზიდენცია ქართლში, ამჟამინდელი კარაღეთის მიდამოებში (გორის რაიონი).



## ნუგზარ აფხაზავა



რთავან ერთმა, უფროსმა, უფრო მაღალი რომელიც იყო და ღამისფერი ცხვირის ბოხობი წარბებამდე ჩამოფხატოდა, ხელი ასწია. ილიამ აქსელერატორს ფეხი აუშვა და მუხრუჭის პედალს დააწვა. „ზილი“ აძივდიგდა და მკვეთრად შეჩერდა. მძღოლმა სარკმილიდან თავი გამოჰყო და გაიღიმა:

— საით, ჩვენებურებო?  
შავბოხობიანმა ჯერ მხლებელს შეხედა, მერე ილია შეათვალიერა. კბილა იქნებოდნენ, ოცდაერთი ან ოცდაორი გაზაფხული თუ ექნებოდათ ნანახი. ახალგაზრდა ჩეჩენს, ბოხობიანი ვაჟაკის მსგავსად, შავი ნაბადი წამოესხა, გამხდარ წვივებზე ოდნავ მტვერდადებული აზიურები შემოტმასნოდა. თავშიშველა იყო და ხშირი, უხეში თმა გასჩეჩოდა.

მძღოლს არმიული გიმნასტურა და ჯარისკაცული ტლანქი, კოჭებთან გახეხილი ჩექმები ეცვა. მთლად ბავშვსა ჰგავდა, ძალიან უნდა დაკვირვებოდი, რომ საულვაშეზე ჭერა ბუსუსების მკრთალი ზოლი გაგერჩია. ცისფერი, უწყინარი, კეთილი თვალები მიმზიდველად უციმციმებდა. მხოლოდ ხელები ჰქონდა მაჰაკატური, ვაჟაკატური — დიდი, ძარღვიანი, ძლიერი ხელები, და ცხვირი კეხიანი, ოდნავ მოზრდილი.

შავბოხობიანმა სულ რამდენიმე წამი მოანდომა ილიას შეთვალერებას. მანქანას ჯიქურ მიაღდა, ერთი მიიხედ-მოიხედა, კაბინის კარი გამოაღო, ნაბდის კალთები ამოიკეცა და მძღოლის გვერდით სავარძელში რომ ჩაჯდა, მანქანა შექანდა. ახალგაზრდა ჩეჩენი კი ღამურასავით სწრაფად და უხმაუროდ აფრინდა საბარგულზე.

— პირდაპირ იარე, მერე მარჯვნივ შეუხვევ და აულიც იქ დაგხვდება.  
ილიამ თავი გადააქნია და ჩაიციხა: „ხო-ხო, რა ხალხი ხართ ეს ჩეჩენებიო“, — გაიფიქრა, თქმით კი არაფერი უთქვამს, საერთოდ არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. სტარტერმა მოკლედ დაიღუღუნა და მაშინვე ძრავა თანაბრად ავუგუნდა. გზა კარგი იყო და „ზილი“ თითქმის უხმაურად გასრიალდა ასფალტზე. შავბოხობიანი დუმდა და თუმცა წინ იყურებოდა, მაინც ახერხებდა ცალი თვალი ეჭვიანად ედევნებინა მძღოლის ძარღვიანი ხელის მკვეთრი, გაწაფული მოძრაობისათვის. მერე უცებ დაარღვია სიჩუმე:

— სტაეი დიდი გაქვს?  
— ისე, რა. ხუთი წელია ვმუშაობ.  
— აქაურ გზებს კარგად იცნობ?  
— რა ვიცი, ჯერ არ დავკარგულვარ.  
აული მართლა მალე გამოჩნდა. მტვრიანი ქუჩა ჩაყვავით გაიარეს და აულის ბოლოში, ალიზით ნაგებ ბანიან სახლთან შეჩერდნენ. შავბოხობიანი პირველი ჩამოხტა მანქანიდან, მეორე მხრიდან კატასავით ის-



კუბა ახალგაზრდამ. უფროსმა კაბინას შემოუარა და კარის სახელური მკვეთრად დასწია ძირს.

— ჩამო!  
ილიამ ძრავა გამოთიშა და ეზოში შეჰყვა ჩეჩენებს.

სახლში გრილოდა. ვიწროსარკმიან, დაბალკერძიან ოთახში შოლტევიტ მოქნილი ჩეჩენი გოგონა დაუხვდათ. ილიამ წამით თვალი შეავლო. „რა მზეთუნახავიაო!“ — ამის გაფიქრება კი მოასწრო და მეორე წამს ქალიშვილი უხმაუროდ გაცქრიალდა ოთახიდან, თითქოს ნიავმა წარიტანაო. მაშინვე ღია კარში თხელი თავშლით პირ-შებურული ხნიერი ქალი შემოვიდა. შავბოხობიანმა, შუა ოთახში ნაბადმოუხდელი რომ ასვეტილიყო, ორიოდ სიტყვა წაიბურტყუნა. ქალმა უსიტყვოდ გაიხურა კარი.

— გული მაგარი გაქვს, ივანე?  
ილიას ეს „ივანე“ ეხამუშა, მაგრამ გაუყურდა. ჩეჩენს ცისფერი თვალები შეანათა:

— წარმოიდგინე, არასოდეს დამიჩივლია.  
— მაშ, აქაურობას კარგად იცნობ?  
— აკი გითხარი, ხუთი წელია საჭეს ვატრილებ-მეთქი. სადღა არ მივლია.  
— არმია მოიარე?  
— ჰო. წლეულს ჩამოვედი.  
ჩეჩენმა თავი დააქნია, შეეტყო, პასუხი ესამოვნა.  
— ახლა მომისმინე და დაიმახსოვრე,

რასაც გეტყვი, — თავი მოაბრუნა და მუკში ჩაახველა. — აქედან ას ოთხმოც კილომეტრზე, ერთ აულში უნდა ავიდეთ. მალაა, მთებში. გზას არა უშავს, ოლონდ, იცოდე, მიხვეულ-მოხვეული და აღმართ-დაღმართიანია. ერთი გოგო უნდა მოვიტაცოთ.

ილიამ ახალგაზრდა ჩეჩენს შეავლო თვალი. იმან გაიღიმა და თეთრი კბილები გააეღვა.

— ჰო, — დაუმოწმა შავბოხობიანმა. — მაგისტვის.

ხნიერი ქალი შემობრუნდა. არაყი და ხმელი ხილი შემოიტანა. მაგიდაზე დააწყო, სამი ჭიქა დადგა და წაფარფატდა.

შავბოხობიანმა ჭიქები შეავსო, თავისი ჭიქა სხვა ორს მიუჭახუნა და გადაჰკრა. ილიამ ჭიქა ხელის ზურგით მისწია:


— მე არ დავლევ.  
— დალიე, ივანე. თქვენებურებს მაგარი არაყი უყვართ. გასინჯე, ორნახადია. საქართველოდან ამოვატანინე, კახეთიდან.

— ვიცი, დამიღვია. მაგრამ საჭესთან სმა არ მჩვევია. არც ახლა დავლევ.

— შენი ნებაა!

შავბოხობიანმა მხარი შეაქანა. ახალგაზრდა ჩეჩენმა ორი სანადირო თოფი ჩამოხსნა კედლიდან. მერე ფოლადით შეუქვილ ძველებურ სკივრში ხელები მოაფათურა, ადამისდროინდელი „ვალტერი“ ამოიღო, ბარძაყზე გაისინჯა-გამოსინჯა და შავბოხობიანს გაუწოდა.





— წავედით!..

ასიოდე კილომეტრი უკან რომ მოიტოვებს, ასფალტიდან გადაუხვიეს და ის იყო, კიდევაც დაღამდა.

კაბინაში ისევ შევბოხობიანი იჭდა. ამხელა მანძილი ისე გაიარეს, კრინტი არ დაუძრავს. ილიამ ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, ჩაეძინაო, მაგრამ თანამგზავრი მძინარეს არ ჰგავდა, თავი ერთხელაც არ დაუკანტურებია. იჭდა წელგამართული, თავაწეული და, მანქანის რყევის კვალობაზე, ოდნავ შესამჩნევად ირწეოდა. ილია შეეჩვია მის ღუმელს, საკუთარ ფიქრებში გაერთო და უცებ შეკრთა კიდევ, როცა მგზავრმა მოულოდნელად დაილაპარაკა:

— ივანე, შენ აულის განაპირას დაგველოდები. — შევბოხობიანს რალაცნაირი შეუვალი, მტკიცე და მბრძანებლური კილო ჰქონდა. — მანქანა გამზადებული გეყოლება. იმათი სახლი აულის თავში დგას. ქალის ძმას „პობედა“ ჰყავს. ასე რომ, „პობედას“ უნდა გავეცე. მართალია, ძველი მანქანაა, მაგრამ მაინც სწრაფია. იცოდე, დევნა სახიფათო იქნება. სამივე ძმა და მამაც სახლში არიან. სამივე ძმა ცნობილი ჯიგითია, სამივე თავზეხელაღებულია. თუ დაგვეწვივნენ, „ვაიდელას“ დამხებებს ვერ მოასწრებ, ისე გავაძრობენ ტყავს. გაიგე, ივანე?

— გაიგე.

— წელან გზაზე ორი მანქანა გავაჩერე. არც ერთი არ გამყვა. ბაჭიებივით დაფრთხნენ. არ დამიძალებია.

მანქანა სწრაფად მიჰქროდა. სპიდომეტრი „სამოცდაათს“ უჩვენებდა.

— ძალიან ნუ ჩქარობ, მოუყელი. შუალამისას უნდა მივიდეთ. ორმოცდაათზე მეტი არ გინდა.

ილიამ გაზს უკლო.

მთვარიანი ღამე იყო. მთებს კაბინაში მჯდომი ბოხობიანის მსგავსად წამოესხათ შავი ნაბდები. „ზილი“ აღმართს შეჰკმუოდა და უკან მტვრის კორიანტელს ტოვებდა.

— ისინი ოთხნი იქნებიან, — განაგრძობდა ჩეჩენი. — მაგრამ, იცოდე, ჩვენც ოთხნი ვართ. სამი თოფი სამის წინააღმდეგ.

— სამი? სამი საიდან?

— საბარგულზე ჩემი უმცროსი ძმის გარდა, ბიძაშვილიც მიზის. მოსახვევში შემოახტა მანქანას, შენ არ შეგინიშნავს. ნამდვილი ფოცხვერია. კარგადაც ისვრის... ასე რომ, შანსები თანაბარია. ოღონდ იცოდე, რომ ისინი მსხვერპლს არ მოერიდებიან, თანაც მიზანზე აყვანა ჩვენზე უკეთ შეუძლიათ.

— გავალთ.

— ა? — შევბოხობიანმა ილიას ნათქვამი ვერ გაიგონა, რადგან სწორედ იმ წამს მარჯვენა წინა თვალი მომცრო ორმოში ჩაეჯახა. გზა უცებ გაუარესდა.

— რა თქვი?

— გავალთ-მეთქი!

— მავარი ბიჭი ჩანხარ.

ერთ-ერთი აღმართი რომ აათავეს, შორს აულის მბუჭტავი სინათლეები გამოჩნდა. მოსახვევებში ის ციმციმა სინათლეები იკარგებოდა, მერე ისევ ჩნდებოდა.

— შუქი გამორთე და ნელა იარე. უკვე ახლოა.

აულის თავში, პირველი სახლიდან ორასიოდე მეტრის მოშორებით შეჩერდნენ. შევბოხობიანმა მძიმედ ჩააბიჯა მანქანიდან, ის ორნი კი საბარგულიდან ლანდებივით ჩამოსრილდნენ.

— მანქანა შემოაბრუნე. მზად იყავი.

მოგიახლოვდებით თუ არა, მაშინვე ძრავა ჩართე.

— კეთილი.

ილიამ მანქანა შემოაბრუნა, მერე საფეხურზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. „კოლხეთს“ ეწეოდა, თბილისიდან უგზავნიდა ხოლმე ძმაცაცი. წყნარი ღამე იყო, ჰრიჭინებსაც კი ეძინათ. მხოლოდ შორიდან, ძალზე შორიდან ოდნავ გასაგონად მოისმოდა ჩანჩქერის ხმაური. მთვარეს ცაზე უკვე გაველო თავისი გზის ნახევარი, ცოტაც და, ყველაზე მაღალი მთის წვერს ამოეფარება. „მით უკეთესი... თუ მით უარესი?... ჩემსას, ალბათ, უკვე ცხრამეტკევილიან ძილში არიან და ცისარტყელასავით ფერად-ფერად სიზმრებს ხედავენ. დედას გული გაუსკდება, რომ იცოდეს, სადა ვარ და რას ვაკეთებ... უცნაური ხალხი კია ეს ჩეჩნები, რალა დროს ქალის მოტაცებაა! უნდა ხომ ქალს? ადე და გააყოლე! თორემ, ჯერ ტყენითო, ახლა — მანქანით... მალე ვერცხვრენის დროც მოვა ალბათ...“ ილიამ უხმოდ ჩაიციხა.

კარგა ხანმა გაიარა.

მოულოდნელად თოფი გავარდა და იმ ერთმა გასროლამ ხეობაში ათას ექოდ დაიგრიალა. მაშინვე მრავალხმიანი ყიჟინა გაისმა, აულის განაპირას ლანდები არილდნენ და იქაურობა მყისვე ხმაურით აივსო. ილია კაბინაში შეხტა და ძრავა ჩართო. კაბინის კარი გაიღო, მძლოლის გვერდით ვილაც დაჯდა, კი არ დაჯდა, მძიმედ დავარდა, ხოლო გარედან მაშინვე ვილაცამ, მღელვარებისა და აჩქარებისაგან სუნთქვაშეკრულმა, ყელში წაჭერილივით დაიღრიალა:

— მიდი, გარეკე! ჩქარა!

მანქანა ადგილს მოსწყდა და ზუზუნით მიჰყვა გზას. ილიამ სწრაფად გადართო სიჩქარეები, მერე აქსელერატორს თითქმის ბოლომდე დააწვა და „ზილი“ ფეთიანივით გავარდა.

ილიამ სარკეს აპკრა მხერა. მტვრის კორიანტელის გარდა უკან არაფერი ჩანდა, მტვრის ბულისა და ღამის ვარდა. „ერთი-ორი წუთიც რომ მოგვაგებინა... სულ ორიოდე წუთი...“ მაგრამ ეს გაიფიქრა თუ არა, ის მტვრის ღრუბელი ორმა კაშკაშმა პროექტორმა გააპო: მდევარი კვალში ჩაუდგა გამტაცებლებს. ახლა უკვე ყველაფერი მძლოლების მოხერხებასა და ოსტატობაზე ეკიდა.

გზას მართლა არა უშავდა, მაგრამ მეტისმეტად აღმართ-დაღმართიანი და მიხვეულ-მიხვეული კი იყო. სისწრაფე რომ არ დაეკარგა, ილია იშვიათად ცვლიდა სიჩქარეს, გაქანებული უტევდა აღმართებს. მძიმე მანქანა, რომელსაც ნებისმიერ მსუბუქ მანქანაზე მეტი მოძრაობის ინერცია ჰქონდა, მეოთხე სიჩქარითაც იოლად ადიოდა ციკაბო აღმართზე. ამიტომ თავდაპირველად „ზილი“ თვალნათლივ დაჯახდა „პობედა“, მაგრამ როგორც კი გზა გასწორდა, ცხადი გახდა, რომ მდევარი თანდათან ამცირებდა მანძილის სხვაობას. ზოგჯერ უკან მომჭროლავი „პობედის“ შუქი „ზილის“ კაბინის სარკეში ირეკლებოდა და კაბინას მჭრქალ ნათელს ჰფენდა. ილიამ ამით ისარგებლა, თავი მიაბრუნა და წამით თვალი შეავლო სავარძლის სახურავის მიკრულ მთლად შებურვილ არსებას. ამლამინდელი აურზაურის მიზეზი უხმოდ იჭდა, გასუსული. მხოლოდ თვალის თეთრონები უელავდა ნაღვერდლებივით სარკიდან არეკლილ მკრთალ შუქზე. ერთხელ

მძლოლსაც გადმოჰკრა თვალი. „თვალეები კი არა, სატევრებია, — გაიფიქრა ილიამ. — ასეთი თვალებისთვის, ღმერთმა ჩემი ღირს თავის გადადება!“

ზურგსუკან თოფმა დაიკეჭა. მერე კიდევ დაიგრიალა. „პობედიდან“ ისროდნენ, ტყვიის მისაწვდომზე წამოსწოდნენ უკვე. ილია მკვეთრად დააწვა აქსელერატორს. სპიდომეტრის ისარი ნელა გადაცოცდა „სამოცდაათიდან“ და „ოთხმოცთან“ აცანცახდა. „ბედი ჩვენი, რომ გზა კარგია. თუმცა, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ბედს თუ ისინი?“

„პობედა“ ჩამორჩა, მაგრამ მერე ისევ შეამცირა მანძილი. ისევ დაიგრიალეს თოფებმა. ახლა გამტაცებლებიც ისროდნენ. ილიამ „ვალტერის“ მჭახე ხმაც გააჩიო. ისევ დააწვა აქსელერატორს, კვლავ ამოძრავდა სპიდომეტრის ისარი, ახლა „ასს“ გადასცდა. „პობედა“ ჩამორჩა, მაგრამ მალე ისევ წამოეწია.

ილიამ გავლილი კილომეტრების მრიცხველს შეხედა. ათიოდე კილომეტრში ასფალტი იწყებოდა. „შენ მერე იკითხე დევნა!“

სწორედ ასფალტზე გასვლისას, როცა „ზილი“ დინავ მოუკლო სიჩქარეს, საბარგულზე ვილაცს ტყვია მოხვდა. დაჭრილმა ისე ველურად დაიღრიალა, რომ ილიას ძარღვებში სისხლი გაეყინა, ღამის გული გაუჩერდა. ნაბადში შებურული ქალიშვილი ოდნავ შეკრთა და წინ გადაიხარა, თუმცა ხმა არ ამოუღია.

დაჭრილის გმინვა შევბოხობიანის ყიჟინამ დაფარა. ჩეჩნურად გაჰკიოდა რალაცს. მძლოლმა მხოლოდ ერთი სიტყვა გააჩიო — „საბურავები“. ალბათ „საბურავებში ესროლეთო“, თავისიანებს თუ უბრძანებდა. ილიას ახლალა მოაგონდა მანქანის აქილევის ქუსლი — საბურავები. „ღმერთმა ნუ ქნას, საბურავში მომახვედრონ. უკანას არა უშავს, თანაც უკან წყვილია, მაგრამ წინა თუ გამიხვრიტეს, მაშინ მოგვტამა ჰირო, თვალის დახამხამებაში ამოვტრიალდებით. ასეთი სიჩქარისას დამუხრუჭებასაც ვერ მოვასწრებ!“

ახლა მანქანები ასფალტზე მიჰქროდნენ. სპიდომეტრის ისარი 110-ს უახლოვდებოდა. საბარგულზე ზედიზედ სამჯერ გავარდა „ვალტერი“. სინათლის ჩქერი, რომელშიც წინ მიმჭროლავი „ზილი“ იყო განვეული, უცებ განახვევდა. შევბოხობიანმა, როგორც ჩანს, ფარში მოახვევდა მდევარს. ასეც იყო — მაშინვე მისი მჭახე ყიჟინაც გაისმა.


ის იყო, მთვარე ჩავიდა და ჩამოხველდა. „პობედა“ ახლა მხოლოდ ცალი ფარის შუქით ხედავდა გზას, მაგრამ, მაინც, საცაა, წამოეწეოდა „ზილი“, თუმცა „ზილის“ სიჩქარე, კარგა ხანია, „110-ს“ ასცილებოდა.

ისევ ატყდა სროლა. ილია დაძაბული მიჰქვროდა საჭეს. „თუ საბურავში მომახვედრეს, გაჩერება უნდა მოვახერხო... უნდა მოვასწრო, თორემ...“

და უცებ თავისუფლად ამოისუნთქა — ზურგსუკან სინათლე ჩაქრა. როგორც ჩანს, რომელიღაც ჩეჩენმა იმარჯვა და მისმა ტყვიამ მდევარი მეორე თვალითაც დააბრმავა.

— გადავჩრით! — ხმამალა თქვა ილიამ. — მადლობა ღმერთს, განწირული არ ვყოფილვართ. — აქსელერატორს ნელა აუშვა ტერფი. სპიდომეტრის ისარმა „სამოცდაათამდე“ ჩამოიწია. მძლოლმა სარკეს ახე-





და. არა, არაფერი ჩანდა უკან, უკუნეთში მიკარგული ასფალტიანი გზის გარდა. „ნეტავი ვინ დაჭრეს ზევით? შავბოხობიანი ყოჩაღადა. მაშ, ვინ დაიჭრა, სასიძო, თუ ის, მეორე? თუ სასიძოა, ცოდვია... ახლა „პობედის“ მგზავრებს დილაშე მოუწევთ ადგილზე დგომა. თითებს იკაშენ ალბათ, რიჟარაქამდე ადგილიდან ფეხს ვერ მოიცივლიან. ყოჩაღ, შავბოხობიანო! რას ერჩი, ზუსტად ისვრის, უსისხლოდ გაათავა საქმე!“

კაბინის სარკმელს მარცხნიდან შავი ჩრდილი ჩამოეფარა. ილია შეკრთა, მაგრამ ნაცნობ შავ ბოხობს მოჰკრა თვალი და მაშინვე დამშვიდდა — ჩეჩენი საბარგულიდან ჩამომძვრალიყო, კაბინის საფეხურზე იდგა და თეთრ კბილებს აელვებდა.

— ჭერ არ შეუხვიო, ივანე! პირდაპირ იარე!

ყოველი შემთხვევისათვის, აულს გასცდნენ და მეორე ბოლოში შეუხვიეს. ბნელ ქუჩებსა და შუკებში ილიამ მცირე სინათლით იარა, შავბოხობიანი გზას ასწავლიდა. ბოლოს გაჩახახებულ ეზო-ბანიც გამოჩნდა. ეზოში ხალხი ირეოდა. იქვე, მტკრიან შუკაში, რამდენიმე მსუბუქი მანქანა იდგა. „ზილი“ გაჩერდა თუ არა, დამხვდურები შემოეხვივნენ და აგზნებულნი აყაყანდნენ. შავბოხობიანმა მოტაცებული გოგო ფრთხილად ჩამოსვა კაბინიდან, ილიასკენ არც მოუხედავს, ისე უთხრა:

— ეზოში შემოიყვანე მანქანა, სახლთან, ხეებქვეშ დააყენე. იცოდე, დილაშე ფეხს ვერ გააღვამ.

ილიამ დილაშე კი არა, შეადღემდე იძინა. მაგრად ეძინა, სიზმარიც კი არ უნახავს. შავბოხობიანმა გააღვიძა. ხელში რაღაც შეხვეულები ეჭირა და კბილებს კრეჭდა:

— გაიღვიძე, ივანე, თორემ ძილში გაიპარები. დაილაღე წუხელ?

— ისე, რა. ცოტათი.

— დარჩები თუ წახვალ? თუ საქმე რამე არა გაქვს, დარჩი.

— არა, უნდა წავიდე. ვინ დაიჭრა ღამით?

— მეფე დაგვიჭრეს. ფეხში. მაგრამ არა უშავს, მაინც ყოჩაღადა. მაგარი ბიჭია. აჰა, ამაში ორი ლიტრი არაყია, ეს კიდევ... ილიამ ხელით აირიდა:

— არაყს ავიღებ, თუ ჭაჭაა. ამას კი — ვერა. არ მინდა.

— აიღე, ივანე, ქალივით ნუ ინაზები. იცოდე, საბარგული ერთი ათგან იყო გახვრეტილი, მაგრამ ისე ოსტატურად შევაკეთებინე, ქარხნის ექსპერტიც კი ხინჯს ვერ უპოვნის. აიღე-მეთქი, და წადი, რაკი შენსას არ იშლი.

— არ მინდა, გეუბნები!

— მე კი პირიქით გეუბნები, და ისე იქნება, როგორც მე ვამბობ. ჰა, გამომართვი, გეკუთვნის და გამომართვი.

— რა ხალხი ხართ ეს ჩეჩენები! — ჩაიცინა ილიამ და „ზილი“ მოწყვეტით დასძრა ადგილიდან. აული ნელი სვლით გაიარა. მთავარ გზაზე გავიდა თუ არა, მანქანა ლალად გაქანდა. წინ მდინარე და დაბალმოაჯირიანი ხიდი გამოჩნდა. ილიამ მარჯვენა ხელით მოსინჯა მომცრო შეკვრა. „ბევრი კი ჩანს, ხომ იცი!“ „ზილი“ ხიდზე ცხვირი შეჰყო თუ არა, ილიამ შეკვრას ორი თითი დაავლო და სარკმილიდან მდინარეში გადაუძახა. მერე ის თითები შარვალზე შეიწმინდა.

— ეგრე! — ხმამალა თქვა ქართულად. ასფალტი შავად ბზინავდა. ცა და მიწა მზით იყო საესე.

# საქართველო, რუსეთი

ამ ბოლო ხანებში ჩვენში პოპულარული გახდა აღმოსავლური კალენდარი. მის მრავალ თავისებურებათაგან ჩვენთვის ყოველი წლის დასასრულს განსაკუთრებით საინტერესოა, რა ნიშნით წარიმართება მომავალი წელიწადი, როგორც ვიცით, ამ ნიშნთა ციკლი თორმეტწლიანია. ამჟერად, ახალი წლის სიმბოლოდ, თორმეტი წლის შემდეგ კვლავ მოგვევლინა გველი.

აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალისტები, ხუმრობაზე-ფარვით, პოროსკოპის ამ ნიშნის მიხედვით ასე ახასიათებენ მიმდინარე წელიწადს: 1989 წელი, უწინარესად, სიბრძნის, სიმშვიდის წელიწადია აღმოსავლეთში. განსაკუთრებით იაპონიაში მიაჩნიათ, რომ გველი სავსებით მშვიდი, უსაფრთხო და მომხიბლავი, ბრძენი სულდგმულია.

არის ქვეყნები, სადაც ამ ქვეწარმავალს ეთაყვანებიან. გავისხენოთ ბირმისა და ინდოეთის წმინდა კობრები, ინდელთა თაყვანისცემა ჩხრი-

**ქ**ნელია ცხოველთა სამყაროში დავასახელოთ ქვეწარმავლების მსგავსი ჯგუფი, რომელიც ადამიანის ესოდენ შიშნარევ ინტერესსა და ცრურწმენებს იწვევდეს. ვერ ხსნიდა რა ამ ცხოველთა მრავალ უჩვეულო თავისებურებას, კაცობრიობა ძველთაგანვე აწერდა მათ ათასგვარ ფანტასტიკურ თვისებებს. ქვეწარმავლები არ სტოვებენ გულგრილს ადამიანებს არც დღეს, როცა მათ სახეობრივ შემადგენლობაზე, ცხოვრების ნირზე ძალიან ბევრი ჰქმნარატი ინფორმაცია დაგროვდა. მიუხედავად ამისა, ცრურწმენებით აღსავსე, გაზვიადებული შეხედულებები ზოგიერთ მათგანზე კვლავ ძალაში რჩება.

რას წარმოადგენენ სინამდვილეში ქვეწარმავლები, იგივე რეპტილიები?

რეპტილიები დედამიწის ცხოველთა სამყაროს ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენლებია. შორეულ გეოლოგიურ წარსულში, კერძოდ, მეზოზოურ ერაში (25-65 მილიონი წლის წინათ) მათ ვერც რიცხობრიობით და ვერც მრავალფეროვნებით დედამიწაზე ცხოველთა ვერცხვით სხვა ჯგუფი ვერ შეედრებოდა. კაინოზოურ ერაში (65 მილიონი წლის წინათ, ვიდრე დღემდე) სურათი შეიცვალა, — გაბატონდნენ ძუძუმწოვრები და ფრინველები. ამჟამად შემორჩენილი ქვეწარმავლთა ზოგიერთი ჯგუფი დინოზავრების ეპოქიდან ნაკლებად შეიცვალნენ, რაც შესაძლებლობას აძლევს მეცნიერებს, გარკვეული ხარისხით იმსჯე-

აღა გველებისადმი. ეკვატორული აფრიკის ზოგიერთი ხალხთა მითოლოგიით, დედამიწაზე პირველად წარმოშობილი ცხოველთაგან ერთი გრძელნი-სკარტიანი ფრინველი იყო, ხოლო დანარჩენი ოთხი ქვეწარმავალი.

სხვა ხალხებში, იგივე ცხოველი სიცრუის, ცბიერებისა და ბოროტების განსახიერებაა, მის სახელს ტაბუ ადევს (იხსენიებენ მხოლოდ მიმანიშნებელი სახელწოდებით — უხსენებელი, მცურავი, წყეული და ა. შ.). ამ თვალსაზრისით ბიბლიური გველი! გამოწაკლისი როლია.

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი არნოლდ გეგეჰკორი ამას წინათ იმყოფებოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, სადაც უშუალოდ გაეცნო ადგილობრივ მკვდრთა ამ ტრადიციებს, ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია არნ. გეგეჰკორი აზიურ პითონთან ერთად (გარეკანის პირველ გვერდზე) გადაღებულია სინგაპურში.

ლონ წარსულში ქვეწარმავალთა, მათ შორის თვით დინოზავრთა ცხოვრებაზე.

თანამედროვე ადამიანი, ალბათ, იშვიათად ჩაუფიქრდება, თუ რა როლი ითამაშეს თავის ცხოველურ წინაპართა გენეალოგიაში რეპტილიებმა. ამ თვალსაზრისით შეიძლება რამდენადმე კრიტიკულად მივიუღებთ ფრთიან გამოთქმას — „ადამიანი მაიმუნისაგან არის წარმოშობილი“. სინამდვილეში, თუ ხერხემლიან ცხოველთა გენეალოგიურ ხეს დაუვკვირდებით, დავინახავთ, რომ მის ძირს რეპტილიები ქმნიან. შესაბამისად, ადამიანის შორეულ, ხმელეთის პირველ ხერხემლიან წინაპარს სწორედ ქვეწარმავლები წარმოადგენენ, სწორედ მათგან განშტოვდნენ ფრინველებიცა და ძუძუმწოვრებიც. დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: თუ არა 300 მილიონი წლის წინათ რეპტილიის მიერ დადებული სქელნაპუტქიანი კვერცხი, ამჟამად არც ძუძუმწოვრები და მათ შორის არც ადამიანი იქნებოდა.

მორალურად მოძველდა მეორე ფრთიანი გამოთქმაც — „კვერცხი გაჩნდა პირველად თუ ქათამი“. უბრალო იქნებოდა ამ გამოთქმის შემდეგი სახის პერიფრაზირება — „კვერცხი გაჩნდა პირველად თუ ქვეწარმავალი“.

ქვეწარმავალთა 16 რაზმიდან ამჟამად დედამიწაზე შემორჩა მხოლოდ ხუთი: ხვლიკები (3000-მდე სახეობა), გველები (2700-მდე სახეობა), კუები (200-მდე სახეობა), ნიან-



გები (23 სახეობა) და თავის-  
კარტიანები (1 სახეობა). ამ  
უკანასკნელს მიეკუთვნება გე-  
ტრია — „ცოცხალი ნამარხი“.  
ეს გარეგნულად ხვლიკის მსგა-  
ვის ქვეწარმავალი, ერთ დროს  
საკმაოდ ბევრი თანამომით (23  
სახეობა) იყო წარმოდგენილი  
პლანეტაზე, მაგრამ მსგავსად  
დინოზავრებისა, ამოწყდნენ და  
მხოლოდ ერთადერთმა რელიქ-  
ტურმა ფორმამ შეძლო, შეენა-  
რჩუნებინა არსებობა ახალი  
ზელანდიის მახლობელ კუნ-  
ძულთა არქიპელაგზე.

ქვეწარმავლებს შორის თა-  
ნამედროვე გეოლოგიურ ეპო-  
ქაში ერთ-ერთი ყველაზე მრავ-  
ალრიცხოვანი და დედამიწის  
ზურგზე ფართოდ გავრცელებ-  
ული ცხოველებია გველებია.  
შორეულ წარსულში ისინი  
ხვლიკებისაგან წარმოიშვნენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია-  
ში მოგზაური ადამიანი ხშირად  
გაიგონებს ადგილობრივი მო-  
სახლეობისაგან, რომ დედამი-  
წაზე ყველაზე დიდი ზომის  
შხამიანი გველი — სამეფო კო-  
ბრა — მათი რეგიონის ტროპი-  
კული ტყეების ბინადარია.

სამეფო კობრას რეკორდულ-  
ი სიგრძე 5,5 მეტრია. იგი  
კარგად დაცოცავს ხეებზე, შე-  
სანიშნავად ცურავს, მაგრამ  
უმეტეს დროს მაინც მიწაზე  
ატარებს. ნადირობს უმთავრე-  
სად სხვა გველებზე. გარდა  
უშხამო გველებისა, მის რაცი-  
ონში შედის ძლიერი ტოქსი-  
კური შხამის მქონე გველებიც  
— ასპიდები, კრაიტები და კო-  
ბრას სხვა სახეობები. სამეფო  
კობრას შხამი ძალიან ძლიერია,  
მსხვერპლის ორგანიზმში მის  
მიერ შეყვანილი ტოქსიკური  
სითხის რაოდენობა კი დიდი.  
ამიტომ, კობრასაგან დაკბენი-  
ლი ადამიანი ნახევარ საათში  
კვდება. ცნობილია ამ გველის  
მიერ დაგესლილი სპილოს სი-  
კვდილის შემთხვევებიც.

კობრები ბინადრობენ მთელს  
სამხრეთ აზიასა და აფრიკაში.  
12 სახეობიდან ერთი — შუა-  
აზიური კობრა საბჭოთა კავ-  
შირში გვხვდება. ყველაზე ფა-  
რთოდ გავრცელებულ კობრებს  
მიეკუთვნება ინდოეთის ანუ  
სათავალბიანი კობრა (ნაია ნა-  
ია). იგი სიგრძით არ აღემატე-  
ბა 180 სანტიმეტრს. ამ გველის  
შეფერილობაში ყველაზე ღი-  
რსშესანიშნავია „სათავალბი“.  
ეს არის კისრის უკანა მხარეზე  
მკაფიოდ გამოხატული ნახატი.  
„სათავალბი“ ნათლად ჩანს მა-  
შინ, როდესაც კობრა ღებულ-  
ობს თავდასაცავ პოზას. სა-  
შიშროების შემთხვევაში ქვე-  
წარმავალი სხეულის ერთ მე-  
სამედს წამოსწევს ვერტიკა-  
ლურად, ერთდროულად პორი-  
ზონტალურად ბრტყელდება  
და ფართოვდება კისერი. ამ  
დროს გადატყევილ ტყავზე —

კაბიუშონზე — კისრის მხრი-  
დან იხატება „სათავალბი“.

ცნობილია, სათავალბიანი  
გველი დიდი პატივით სარგებ-  
ლობს ინდოეთის მოსახლეობა-  
ში. მასთან დაკავშირებულია  
არაერთი ლეგენდა და გადმო-  
ცემა. გარდა ამისა, კობრას თა-  
ვიანთ წარმოდგენებში იყენებენ  
გველის შემლოცველები. ქვე-  
წარმავალი მოთავსებულია მრგ-  
ვალი ფორმის დაწულ კალათა-  
ში. წარმოდგენის წინ კალათას  
თავს ხლიან და კობრაც წამო-  
იშრება ხოლმე მისთვის და-  
მანასიათებელ პოზაში და მუ-  
სიკის ტაქტზე აქეთ-იქით ირ-  
წევა. გველი ყრუ ცხოველია,  
მას არა აქვს სმენის გარეგანი  
აპარატი, მაგრამ ქვეწარმავალი  
არ აზრობს რა თვალს ადამი-  
ანს, სინქრონულად იმეორებს  
მის მოძრაობებს. მაყურებელს  
ექმნება ილუზია, თითქოს გვე-  
ლი მუსიკის პანგების რიტმზე  
„ცეკვავს“. გარდა ამისა, გამო-  
ცდილი შემლოცველი ასრუ-  
ლებს სხვა მანიპულაციებსაც.

დედამიწაზე ვხვდებით კობ-  
რაზე უფრო შხამიან გველებს,  
მაგრამ ყველაზე ცუდი სახელი  
მაინც ამ მოდგმის ქვეწარმავ-  
ლებს აქვთ. აქ მთავარი მიზეზი  
ის არის, რომ მკვიდროდ დასა-  
ბლებული სამხრეთი და სამხ-  
რეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყ-  
ნებში კობრა ახლო კანტაქტში  
იმყოფება ადამიანებთან. და-  
გესვლის სისწირე დაკავშირე-  
ბულია კიდევ ერთ გარემოება-  
სთან — ადგილობრივი მოსახ-  
ლეობა მეტწილად არ სარგებ-  
ლობს ფეხსაცმლით. მაგალი-  
თად, მარტო ინდოეთში კობ-  
რას დაკბენით გამოწვეული  
მსხვერპლის წელიწადში 10.000  
კაცს აღწევს.

ტროპიკებში ითვლიან ინდო-  
ეთის კობრას რვა ქვესახეობას,  
მათ შორის განსაკუთრებულ  
ყურადღებას იპყრობს მფურ-  
თხავი კობრა. ეს რეპტილია  
დიდი სიზუსტით ისერის შხა-  
მის წვეთებს 2,5 მეტრ სიგრა-  
ძეზე. კანზე იგი არ მოქმედებს,  
მაგრამ თუ მსხვერპლს წვეთე-  
ბი თვალეში მოხვდა, დაწვავს  
და გარკვეული ხნის შემდეგ  
დააბრმავებს. მხედველობის  
შენარჩუნების ერთადერთი სა-  
შუალება თვალეების დროულად  
გამორეცხვაა. ეს შხამი ტოქ-  
სიკურიცაა, სისხლში მოხვედ-  
რისას მსხვერპლი კვდება. სხვა  
შხამიანი გველებისაგან განსხ-  
ვავებით, მათ შორის დანარჩე-  
ნი კობრებისაგან, ეს არხები  
მიმართულია არა ქვემოთ, არა-  
მედ წინ. საკმარისია გველს  
საფრთხე დაემუქროს, წამოი-  
მართება, თავს მოწინააღმდეგი-  
საკენ შეაბრუნებს, პირს გა-  
აღებს და შემდეგ კუნთების  
ძლიერი და მკვეთრი შეკუმშ-  
ვით გამოისვრის შხამის სათა-  
ნადო ულუფას. სითხის ორი

წვრილი ნაკადი ზუსტად ხვდე-  
ბა მიზანს. სათანადო მონაცე-  
მებით, მფურთხავი კობრა ინს-  
ტინქტურად იღებს მიზანში მო-  
წინააღმდეგის თვალს. გარდა  
ინდოეთის კობრის აღნიშნუ-  
ლი ქვესახეობისა, თავდასხმის  
მსგავსს მეთოდს ასევე სრულ-  
ყოფილად ფლობს ორი აფრი-  
კული კობრა — შავკისერა და  
საყელიანი.

ახლა რაც შეეხება მახრჩო-  
ბელა გველებს. ნატურალის-  
ტური ხასიათის ლიტერატურა-  
ში ხშირად ვხვდებით ცნობებს  
უზარმაზარ გველებზე, რომ-  
ლებსაც უნარი შესწევთ, გადაყ-  
ლაპონ თვით ცხენი. ნამარხ, აწ  
გადაშენებულ გველებში მარ-  
თლაც არის აღრიცხული 15 მე-  
ტრი სიგრძის ქვეწარმავლები,  
მაგრამ, სპეციალისტთა აზრით,  
ამჟამად მცხოვრებ გველებს  
შორის ალბათ არ მოიძებნება  
12 მეტრზე მეტი სიგრძის გვე-  
ლი. ეჭვი არ ეპარებათ, რომ  
სამხრეთ ამერიკის ანაკონდა 10  
მეტრს აღწევს, მაგრამ მეცნი-  
ერთა მიერ ზუსტად გაზომილ  
ეგზემპლარებს შორის ყველაზე  
გრძელი აღმოჩნდა აზიური ბა-  
დისებრი პითონი. ეს გიგანტი  
სიგრძით 10 მეტრია. ამიტომ,  
აღნიშნული ნიშნით, ცნობილ  
ამერიკელ ჰერპეტოლოგს არ-  
ჩი კარს პირველ ადგილზე სწო-  
რედ ეს ქვეწარმავალი ჰყავს  
დაყენებული. „ცხოველთა ცხო-  
ვრების“ საბჭოთა გამოცემაში  
(ტომი მეოთხე) მითითებულია  
სხვა რეკორდი, ამ წყაროს მი-  
ხედვით, მაქსიმალური სიგრა-  
ძის — 11 მეტრი და 43 სანტი-  
მეტრი — ანაკონდაა.

რა ზომის მსხვერპლის ათ-  
ვისება შეუძლიათ მახრჩობე-  
ლებს? ათ მეტრამდე პითონს  
შეუძლია მოახრჩოს და გადა-  
ყლაპოს შველის და რამდენად-  
მე უფრო დიდი ზომის მსხვერ-  
პლი, ანაკონდას — შინაური  
ვაკის, ხოლო 5,5 მეტრამდე  
სიგრძის მგუღავს — მელას  
გაბარიტების მქონე მსხვერპ-  
ლი. ცნობები იმის შესახებ,  
რომ ანაკონდას გადაუყლაპავს  
ზრდასრული ადამიანი, არ შე-  
ეფერება სინამდვილეს. დოკუ-  
მენტურად დადასტურებულია  
მხოლოდ ერთი ფაქტი: სამხ-  
რეთ ამერიკაში ანაკონდამ მა-  
რთლაც ჩაყლაპა 13 წლის ბავ-  
შვი. საერთოდ, მახრჩობელები  
ზრდასრულ ადამიანს უფრთ-  
ხიან, ამიტომ მონადირეები მათ  
თამამად ესხმიან თავს და ჰკლა-  
ვენ.

ამ რეპტილების ლამაზად  
შეფერილ ტყავს ფართოდ იყე-  
ნებენ სხვადასხვა მოდური სა-  
ქონლის დასამზადებლად. სამ-  
ხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგ  
ქვეყანაში პითონების ხორცი  
დელიკატესად ითვლება და სა-  
კმაოდ ძვირად იყიდება. ნიან-  
გების ფერმის მსგავსად, აქ გა-

თვლისწინებულია სპეციალუ-  
რი პითონსაშენების მოწყობა,  
რაც დააკმაყოფილებს ადგი-  
ლობრივ მოსახლეობას. ქვე-  
წარმავლის მოყვარულ უცხოელ-  
თა მოთხოვნის მიხედვით ამ ქვე-  
წარმავალთა ტყავისაგან გაკე-  
თებულ საგნებსა და ხორცზე-  
გამოანგარიშებულია, რომ დე-  
დამიწაზე ყოველწლიურად 12  
მილიონი გველის ტყავს ამზა-  
დებენ, მათგან ყველაზე ძვი-  
რად სწორედ პითონის ტყავი  
ფასობს. ქვეწარმავლების ასე-  
თი მასშტაბით განადგურების  
გამო ჭუნვლებში მათი რიცხვი  
სულ უფრო კლებულობს.

განსხვავებით პითონებისა-  
გან, მგუღავები (მათ შორის  
ანაკონდა) ცოცხლად მშობი-  
რები არიან. მახრჩობელები  
მხოლოდ ტროპიკებსა და სუბ-  
ტროპიკებში როდი ბინადრო-  
ბენ, მათ ვხვდებით ზომიერი  
სარტყლის მშრალ (ველები,  
უდაბნოები) რაიონებში. ჩვეუ-  
ლებრივ ისინი თავიანთ ტრო-  
პიკულ თანამომხებებზე გაცი-  
ლებით მომცრონი არიან. ერთ-  
ერთი მათგანი — ველის მახრ-  
ჩობელა — გავრცელებულია  
აღმოსავლეთ საქართველოს  
არიდულ ლანდშაფტებში. სიგ-  
რძით აღწევს 80 სანტიმეტრს,  
ხოლო ცოცხლად ნაშობი ნაში-  
ერი — 14 სანტიმეტრს. მკვნი  
მწერებისა და მორღნელების  
განადგურებით ამ ქვეწარმა-  
ვალს ადამიანისათვის სარგებ-  
ლობა მოაქვს.

მახრჩობელა გველები ადამი-  
ანს ადვილად ეჩვევიან. განსა-  
კუთრებით თუ ისინი პატარაო-  
ბიდანვე იზრდებიან ხელოვნ-  
ურ პირობებში. ფიქრობენ,  
რომ პითონი ცნობს თავის პატ-  
რონს და რაც უნდა დიდი ზო-  
მის გაიზარდოს, არ ერჩის მას.  
თაილანდში, სინგაპურსა და  
სხვა ქვეყნებში, მასობრივი  
თავშეყრის ადგილებში, ხშირად  
ჰყავთ კისერზე შემოხვეული,  
ანდა ღია კალათებში ჩასმული  
საკმაოდ დიდი ზომის პითონე-  
ბი. მსურველებს, დაახლოებით  
ნახევარი დოლარის ფასად, შე-  
უძლიათ აიყვანონ პითონი და  
გადაიღონ მასთან სურათი. თა-  
ილანდში ერთ-ერთი გველის  
მეპატრონე ახალგაზრდა გოგო-  
ნა იყო. როგორც კი გოგონა  
ცხოველს მოშორდებოდა, პი-  
თონი ნერვულ მოძრაობებს  
იწყებდა, მაგრამ საკმარისი იყო,  
კვლავ შეხებოდა ხელით და  
მოფერებოდა, ქვეწარმავალი  
ისევ მშვიდდებოდა.

ადამიანისა და გიგანტურ  
მახრჩობელათა მსგავსი დამო-  
კიდებულება უდევს საფუძე-  
ლად ცირკში ტანზე გველშემო-  
ხვეული მოცეკვავე ქალების გა-  
მოსვლას.





# საქართველოში საფრთხე

ურნალ-გაზეთები სისტემატურად იტყობინებიან, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ბუნებას და თვით ადამიანს ტექნიკური პროგრესი. ასეთი ინფორმაცია

ზოგჯერ ომის ფრონტიდან მიღებულ ცნობებს გვაგონებს. გავიხსენოთ ჩერნობილი, რეინის მოწამულა, ქიმიური ქარხნის აფეთქება ინდოეთში, ორიათასი ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ეგრეთ-წოდებული მკვლე წვიმები, რომლებიც უზარმაზარ ტერიტორიაზე ანადგურებენ მცენარეულ საფარს, აბინძურებენ წყალსატევებს, უდიდეს ზიანს აყენებენ შენობა-ნაგებობებსაც კი. განა შესაძლებელია მისი თავიდან აცილება რომელიმე ერთი ქვეყნის მონდომებით? კანადის ქალაქ ტორონტოში, რომელიც ონტარიოს ტბის სანაპიროზე მდებარეობს, მკვლე წვიმების შედეგად განადგურდა მცენარეულობა, შენობები, ავტომანქანები, დაიხოცა დიდძალი თევზი. მიუხედავად ამ ქვეყნის დიდი მონდომებისა, ანალოგიური მოვლენები მაინც ვერ აუცილებიათ თავიდან, რადგან კანადის ტერიტორიაზე მოსული მკვლე წვიმების მიზეზი უმეტესწილად მათი სამხრეთელი მეზობელია. შეერთებულ შტატებში თბოელექტროსადგურების, სამრეწველო საქვებების, ქარხნების, ავტომანქანების მიერ ატმოსფეროში ამოფრქვეული ნივთიერებები წარმოქმნიან გოგირდისა და აზოტის მკვავებს, რომლებიც შემდგომ წვიმის, თოვლის ან ნისლის სახით მოდის და ანადგურებს ყველაფერს. ასეთი წვიმა შეიძლება წამოვიდეს შხამიანი ამონაფრქვევების წყაროებიდან ასეული კილომეტრის დაცილებით.

ანალოგიურ მოვლენებს ვაწყდებით ევროპაშიც. შევდმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეამჩნიეს, რომ ტბებში გაქრა თევზი. ამის მიზეზი ყოფილა ნალექები, ჰაერს რომ მიჰქონდა დიდი ბრიტანეთიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარემოს გაუქუქიანება ანადგურებს ტყეებსა და წყალსაცავებს, აზიანებს კულტურულ და ხელოვნობაობრივ ძეგლებს. მრავალ ქანდაკებას დაშლით ემუქრება მანქანების გამონაბოლქვით გაბინძურებული ჰაერი. ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩააგდებს იგივე ჰაერი, ადამიანს. ამიტომაცაა, რომ მკვეთრად იმატა დაავადებათა რიცხვმა.

გაუქუქიანების ზრდასთან ერთად მატულობს მომუშავეთა ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენა, მკურნალობის ხარჯები, კლებულობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოსავლიანობა, იზრდება მრეწველობის პროდუქციის დანაკარგები, კომუნალური მეურნეობის ხარჯები და ა. შ. ასე რომ, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ეკონომიკურადაც ხელსაყრელია.

უკრაინაში ჩატარებულმა მოსახლეობის სამედიცინო შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქალაქებში, სადაც ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობაა, 1,8-ჯერ მატულობს იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას გადიან. ამასთან, ორი მესამედით იზრდება ექიმების ბინაზე გამოძახება, ერთი მესამედით — პოლიკლინიკებში მიღება.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოებას ერთი მომუშავეის დაავადება

მწვავე რესპირატორული დაავადებით 38 მანეთის ოდენობის ეკონომიკური ზარალი უჯდება, ანგინით — 84, ბრონქიტით — 119, გრიპით კი — 307 მანეთი, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რა კოლოსალურ დანაკარგებთან გვაქვს საქმე.

როდესაც ენერგეტიკული კრიზისის შედეგად კალიფორნიაში ბენზინის გაყიდვა მხოლოდ 10 პროცენტით შემცირდა, ბრონქიტებისაგან, ასთმისაგან, ფილტვების ემფიზემისაგან გამოწვეულმა სიკვდილიანობამ 30 პროცენტით იკლო, ხოლო გულ-სისხლძარღვთა დაავადებამ — 11-17 პროცენტით. საქმარისი იყო, ბენზინის გაყიდვა გაეზარდა, რომ დაავადებებმა კვლავინდებურად იმატა. განგარიშებულთა: თუ ამერიკის დიდ ქალაქებში ორჯერ შემცირდება გაუქუქიანების დონე, მაშინ მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება 3-5 წლით, სიკვდილიანობა შემცირდება 4-5 პროცენტით, ბრონქიტების, რესპირატორული დაავადებების, ფილტვების კიბოსი — 25-დან 50 პროცენტამდე, გულ-სისხლძარღვთა დაავადება — 10 პროცენტით, საერთოდ, სამედიცინო დანიშნულების ხარჯები შემცირდება 2 მილიარდი დოლარით. მარტო ატმოსფეროს გაუქუქიანებით გამოწვეული ზარალი 20 მილიარდი დოლარია წელიწადში.

აკადემიკოს ლუბინის აზრით, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გენეტიკური დარღვევების მქონე მილიონობით ბავშვი გაჩნდა. ასეთი მოვლენები ხშირად გვხვდება მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაიონებში, სადაც დიდი ოდენობით იყენებენ ქიმიურ სასუქებს.

რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, მართალია, აქ არ აღინიშნება არც სმოგი და არც მასთან დაკავშირებული ავადობის კატასტროფული ზრდა, მაგრამ ეს სულაც არ იძლევა თვითდამწვიდების საფუძველს. საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფეროს გაბინძურების მხრივ საშიში ობიექტები განლაგებულია 25 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში, რომელთაგან ჰაერს ყველაზე მეტად აბინძურებენ რუსთავის ქიმიური და მეტალურგიული კომბინატები, ზესტაფონის ფეროშენადნობისა და კასპის ცემენტის ქარხნები.

განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ბუნებას ინდუსტრიულმა

საქმიანობამ. დღეს საბჭოთა კავშირში მძლავრი ჰესების მშენებლობის შედეგად წყალშია ჩაძირული 2600 სოფლისა და 165 ქალაქის ტერიტორია, რასაც ემატება მშენებარე და პროექტით გათვალისწინებული წყალსაცავები. იკარგება მიწა მარჩენალი. მარტო საქართველოში დატბორილი მიწის ფართობი 14 ათას ჰექტარს უტოლდება.

დიდძალი ელექტროენერგია რომ გვკირდება, ამაში ექვს არც ერთი გონიერი ადამიანი არ შეიტანს, მაგრამ საკითხავია, განა არ შეიძლება იმავე ოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავება ნაკლები დანაკარგებით? თუ მსოფლიო პრაქტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ეს საკითხებით შესაძლებელია, მცირე სიმძლავრის ჰესების ქსელის ფართოდ გაშლით, აგრეთვე ქარისა და მზის ენერგიის გამოყენებით.

ექსპერტთა აზრით, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიოში ბუნების დამცავ ღონისძიებებზე უნდა დაიხარჯოს ერთობლივი ეროვნული შემოსავლის 3-5 პროცენტი მაინც, ანუ არანაკლებ 150 მილიარდი დოლარისა წელიწადში. რამდენად შესაძლებელია ეს? სად არის რეზერვი? დღეისათვის მსოფლიოს სამხედრო ხარჯები ყოველწლიურად ერთ ტრილიონ დოლარს აღწევს. ამ ხარჯების შემცირება არის ის ერთ-ერთი უდიდესი მატერიალური რეზერვი, რომელიც კაცობრიობას და მომავალ თაობას შეუნარჩუნებდა ჯანსაღ გარემოს.

ეკოლოგიური კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისიცაა, რომ ადამიანმა ირწმუნა, თითქოს იგი ბუნების „დამპყრობი“ და „დამმორჩილებელია“. საჭიროა ადამიანის შეგნების გარდაქმნა ისე, რომ იგი არა მარტო თანაუგრძობდეს ბუნებას, არამედ მის განუყოფელ ნაწილადაც თვლიდეს თავს. ეს ძალზე რთული პროცესია, რადგან ჩვენში ფესვგადგმულია ბუნებისადამი მომხმარებლური დამოკიდებულება.

„თუ შემდგომშიც ვაპირებთ არსებობას, ბიოსფერო უნდა იქცეს ნოოსფეროდ, გონების სფეროდ“. ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ რუს მეცნიერს, აკადემიკოს ვერნადსკის.

რომან გოცირიძე,  
ეკონომიკურ მენეჯერობათა კანდიდატი.





# სოფლია

წელს მკითხველი მიიღებს „ბიზლიის“ სრულ თარგ-მანს ქართულ ენაზე. გთავაზობთ ზოგიერთ თავს ახალი გამოცემიდან.

ყოველი მეშვიდე წლის თავზე გამოაცხადე პატიება. აი, პატიების რაობა: აპატიოს ყოველმა მეველემ, ვისაც რამე უსესხებია თავისი მოყვასისთვის, და ნურაფერს მოთხოვს თავის მოყვასს ან მოძმეს, რადგან პატიება იქნება გამოცხადებული უფლის სახელზე.

უცხოელს მოსთხოვე, მაგრამ აპატიე შენს მოძმეს, თუ შენი ვალი ექნა.

თუ იქნა თქვენში ღარიბი, ერთი თქვენი მოძმეთაგანი, თქვენს ერთ-ერთ ქალაქში, იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, გულს ნუ გაიქვავებ და ხელმოჭერილი ნუ იქნები შენი ღარიბი მოძმის მიმართ.

არამედ ხელგაშლილი იყავი და ასესხე მისი გასაჭირის კვალობაზე, რაც უჭირს.

ფრთხილად იყავი, გულში არ შეგეპაროს უგვანი ფიქრი, არ თქვა: ახლოვდება მეშვიდე წელი, პატიების წელი. აითვალ-წუნებ შენს ღარიბ მოძმეს და არაფერს მისცემ. უფალთან გიჩვილებს და ცოდვა დაგედება.

მიეცი და ნუ ინაღვლებს შენი გული მიცემისას, რადგან ამისთვის გაკურთხებს უფალი, შენი ღმერთი, ყველა შენს საქმეში და ნაამაგარში.

წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინე.

\*\*\*

როცა შესთხოვე უფალს, შენს ღმერთს, ხორებში, თავშეყრის დღეს: მეტს ნულარ გავიგონებ უფლის, ჩემი ღმერთის ხმას და ამ დიდ ცეცხლსაც ნულარ ვიხილავ, რათა არ მოვკვდეთ.

მითხრა უფალმა: კარგი ქნეს, რომ ეს თქვეს.

შენ რომ ხარ, ისეთ წინასწარმეტყველს დავუდგენ მოძმეთა წრიდან, ბაგეზე დავუდებ ჩემს სიტყვებს და ის გამოგიცხადებს ყველაფერს, რასაც მე ვუბრძანებ.

თუ ვინმე არ შეისმენს ჩემს სიტყვებს, რომელთაც ის გამოაცხადებს ჩემი სახელით, თავად მე მოვთხოვ მას პასუხს.

მაგრამ წინასწარმეტყველი, რომელიც გაკადნიერდება და ჩემი სახელით დაიწყებს იმის გამოცხადებას, რაც მე არ მიბრ-

ძანებია გამოსაცხადებლად, ან რომელიც უცხო ღმერთის სახელით ალაპარაკდება. ეს წინასწარმეტყველი უნდა მოკვდეს.

თუ გულში იტყვი: როგორ მივხვდეთ სიტყვას, რომელიც არ უთქვამს უფალს?

წინასწარმეტყველი თუ უფლის სახელით რაღაპარაკებს და არ აცხადდება მისი ნალაპარაკევი, არ ყოფილა ეს უფლის სიტყვა — თვითნებურად ულაპარაკნია წინასწარმეტყველს, ნუ გეშინია მისი.

\*\*\*

ვერ გამოვა ერთი მოწმე ვინმეს წინააღმდეგ რაიმე დანაშაულში. შეცოდებაში თუ ცოდვაში, რითაც შეიძლება სცოდოს კაცმა. მხოლოდ ორი მოწმის ან სამი მოწმის სიტყვით შედგება საქმე.

თუ გამოვა ავისმდომელი მოწმე ვინმეს წინააღმდეგ და ბრალს დასწამებს მას.

წარდგეს ეს ორი მოდავე კაცი უფლის წინაშე, მღვდლები-სა და მსაჯულების წინაშე, რომლებიც იმუამად იქნებიან.

კარგად გამოიძიონ მსაჯულებმა, და თუ ის მოწმე ცრუმოწმე გამოდგა, ტყუილუბრალოდ დაუბრალებია თავისი მოძმისთვის.

ისე მოექცეით მას, როგორც თავად სურდა მოქცეოდა თავის მოძმეს და აღმოფხვრი ბოროტებას შენი წიაღიდან.

ღანარჩენებმა გაიგონ და შიში ჰქონდეთ, რომ აღარ ჩაიდინონ ამგვარი ბოროტი საქმე შენს წიაღში.

ნუ შეიწყალებს მას შენი თვალი. სიცოცხლე სიცოცხლის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ხელი ხელის წილ, ფეხი ფეხის წილ.

\*\*\*

არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საჭმელი და არც რამე ნივთი. რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს.

უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გიკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ.

თუ აღთქმას დაუდებ უფალს, შენს ღმერთს, ნუ დაავიანებ მის შესრულებას, რადგან მოიკითხავს მას შენგან უფალი, შენი ღმერთი, და ცოდვა დაგედება.

თუ აღთქმისაგან თავს შეიკავებ, არც ცოდვა დაგედება.

შეინახე შენი ბაგიდან გამოძავალი სიტყვა და შეუსრულებ, რაც აღთქმული გაქვს უფლის, შენი ღმერთისადმი, რაც წარმოთქვა შენმა ბაგემ.

როცა შეხვალ შენი მოყვასის ვენახში და შენი სურვილისამებრ, გაძღომამდე შეჭამ ყურძენს, ჭურჭელში აღარ ჩაიწყო.

როცა წახვალ შენი მოყვასის სამკალში, ხელით დაგლიჯე თავთავები; ნამგალი არ მოიქნო შენი მოყვასის სამკალში.

\*\*\*

არ უნდა მოიკლან მამები შეილების გამო და შეილები არ უნდა მოიკლან მამების გამო; თითოეული თავისი დანაშაულისთვის უნდა მოიკლას.

ნუ გაამრუდებ მდგმურისა და ობლის სამართალს, ნუ დაიგირავებ ქვრივი ქალის სამოსელს.

თუ მომკი სამკალს და ძნა დაგავიწყდება ყანაში, ნულა გაბრუნდები მის წამოსაღებად — მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეთ, რომ აკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, ყველაფერი, რასაც შენი ხელით გააკეთებ.

როცა ზეთისხილს ჩამობერტყავ, რტობს ნულა დაუწყებ თვალიერებას — მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეს.

როცა ვენახს დაკრიფავ, მომცვრევას ნულა დაიწყებ — მდგმურებსა და ქვრივ-ობლებს დარჩეს.

ნუ გექნება ჩანთაში ორი განსხვავებული საწონი — დიდი და მცირე.

ნუ გექნება სახლში ორი განსხვავებული საწყაო — დიდი და მცირე.

საწონი სრული და სწორი უნდა გქონდეს; საწყაო სრული და სწორი უნდა გქონდეს, რომ დღეგრძელი იყო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს.

რადგან საძაგელია უფლის, შენი ღმერთისთვის ყველა, ვინც ამას აკეთებს, ყველა, ვინც უკანონობას სჩადის.






სახელოსნო

ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი

საპართველოს სსრ სახალხო მხატვარი  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი








ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქველი თბილისის მოტივები (სერიიდან)


## ნიკოლოზ (კოკა) იბნატოვი











ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი

გრაფიკული ფურცლები





# ფუტკარი



მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებობს მილიონზე მეტი მწერის სხვადასხვა სახეობა, რომელთა შორის ადამიანმა თავის სასარგებლოდ მხოლოდ რამდენიმე გამოიყენა. მათ შორის არის ფუტკარი.

თანამედროვე მეფუტკრეობის განვითარებას ხელი შეუწყო ამ დარგში სამმა დიდმა გამოგონებამ:

— 1814 წელს გამოჩენილმა რუსმა მეფუტკრემ პ. პროკოპოვიჩმა პირველმა მსოფლიოში გამოიგონა დასაშლელი ჩარჩოიანი სკა. ჩარჩოიანი სკის გამოგონებამ კიდევ უფრო გაითქვა სახელი ხელოვნური ფიჭისა და ციბრუტის გამოგონების შემდეგ.

— 1857 წელს გერმანელმა მეცნიერმა იოჰანს მერინგმა გამოიგონა ხელოვნური ფიჭა, რომელიც დაამზადა თვითნაკეთი წნეხით. წნეხი დამზადებული იყო მსხლის ფიჭისაგან, რაზედაც ამოკვეთილი იყო ფიჭის მსგავსი უჯრედები.

— 1865 წელს ჩეხმა ფრანც გრუშკამ, რომელიც სამხედრო მოსამსახურე იყო და პენსიაზე გასვლის შემდეგ ხელი მოჰკიდა მეფუტკრეობას, გამოიგონა და დაამზადა სხვადასხვა კონსტრუქციის თავლის გამოსაწერი ციბრუტები.

დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 40 მილიონი ფუტკრის ოჯახი ითვლება. აქედან საბჭოთა კავშირზე მოდის 10 მილიონამდე ფუტკრის ოჯახი, ამერიკის შეერთებულ შტატებზე — 5, ჩინეთზე — 4, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე 1,5, საფრანგეთში, პოლონეთში და ჩეხოსლოვაკიაში 1,2 მილიონი ძირი სკა თითოეულში და სხვა.

მეფუტკრეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონითა და რენტაბელობით პირველ ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატები.

„რამდენი კილოგრამი თავლის მიღება შეიძლება ერთი სკიდან სეზონის მანძილზე?“ — როგორც წესი, ამას კითხვობს ხოლმე დამწყები მეფუტკრე.

შეიძლება თუ არა ამ კითხვას ვუპასუხოთ დაახლოებით მაინც? ალბათ, არა და აი რატომ. მეფუტკრეობის შემოსავალი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადია ლალიანობის პერიოდში გარემოს კლიმატური პირობები, რაც ძალზე მერყევიანია. მაგრამ როგორც ხანგრძლივი პერიოდის დაკვირვებები გვიჩვენებს, ძირითადად მაინც სჭარბობს ზომიერი და მცირე ლალიანობის წლები, როდესაც ფუტკრის ოჯახები ზამთრის მარაგის შეგროვების გარდა თავლისა და სხვა პროდუქტების გარკვეულ რაოდენობას იძლევიან.

იზადება კითხვა: თუ ამ დარგის შემოსავალი ასეთი არამდგრადი და ზოგჯერ წამგებიანიც არის, რითი იტაცებს მეფუტკრეობა ადამიანებს და ზოგჯერ გამოჩენილ მეცნიერებსაც კი?

უპირველეს ყოვლისა, ფუტკრის ოჯახის მეტად საინტერესო ცხოვრება, რომელიც ადამიანთა ტომების ან თუ გნებავთ პატარა სახელმწიფოს ცხოვრებას წააგავს,

რომლის ყოველ წევრს თავისი მოვალეობა აკისრია და გარკვეული წვლილი შეაქვს საერთო საქმეში; ფუტკარი არ საჭიროებს ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას და თავის საკვებს თვითონვე შოულობს; იძლევა მაღალხარისხოვან კვებით და სამკურნალო პროდუქტებს, რომლებიც საფუტკრის ტერიტორიაზე ჰქმნიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო მიკროკლიმატს, დაბოლოს მეფუტკრეები იმყოფებიან ბუნების წიაღში, რაც ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მათი ხანგრძლივი და ღრმა სიბერემდე აქტიური ცხოვრებისა.

ახლა განვიხილოთ ის სამი ძირითადი პირობა, რომელიც აუცილებელია დამწყები მეფუტკრისათვის.

**პირველი.** ცნობილია, რომ ადამიანის ორგანიზმი იტანს 500-მდე ფუტკრის დანესტერას, მაგრამ ზოგიერთი რამდენიმე ფუტკრის დანესტერის შემდეგ ამჟღავნებს ალერგიულ მოვლენებს (სახისა და კისრის წამოწითლება, ჰინჯროვანი გამონაყარი ტანზე და ილიეებში, მაჯის ცემის მომატება და სხვა); ზოგიერთ შემთხვევებში კი ერთი დანესტერაც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. ამიტომ ასეთმა პირებმა ფუტკარში არ უნდა იმუშაონ.

**მეორე.** საფუტკრის მოსაწყობად საჭიროა შესაფერისი ადგილი: იგი უნდა იყოს შემოღობილი მყუდრო, მოცილებული დიდ დასახლებას, მეცხოველეობის ფერმის და ა. შ.

**მესამე.** საფუტკრის გარშემო 2-3 კილომეტრის რადიუსში საკმაო რაოდენობით უნდა იყოს ისეთი თაფლოვანი ხემცენარეები, როგორცაა ცაცხვი, აკაცია, წაბლი, ძეძვი, სამყურა, იონჯა, ესპარტეტი, ძიძო, სალბი და სხვა.

მეფუტკრეობის დაწყებისათვის საუკეთესო პერიოდია გაზაფხული, როდესაც ფუტკარი სკიდან გამოფრენას და აქტიურ ცხოვრებას იწყებს. ფუტკრის ოჯახის შექმნა შეიძლება როგორც სკის, ასევე „პაკეტის“ სახით. მაგრამ გამოუცდელი მეფუტკრისათვის უმჯობესია სკის შექმნა, რადგანაც „პაკეტის“ მოვლა-პატრონობა, სანამ ის ნორმალურ სკად ჩამოყალიბდებოდეს, დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვს.

ფუტკრის ოჯახი უნდა შევარჩიოთ გამოცდილი მეფუტკრის დახმარებით — ფუტკარი ჯანმრთელი უნდა იყოს.

ფუტკრის ჯიშებიდან სასურველია ქართული მთის რუხი ფუტკარი, რომელიც მეტად ძვირფასი სამეურნეო მაჩვენებლებითა და თვინიერებით გამოირჩევა.

საფუტკრეში სკების დასადგმელი ადგილის მოსწორება აუცილებელია. სკები უნდა შევდგათ 30-40 სანტიმეტრის სიმაღლის სადგარებზე.

სკის საფრენი აღმოსავლეთისაკენ უნდა იყოს მიმართული, რათა ფუტკარმა მზის ამოსვლისთანავე დაიწყოს გამოფრენა; სკებს შორის უნდა დავტოვოთ იმდენი ადგილი, რომ მათ შორის თავისუფლად

გავლა და მუშაობა ყველა მხრიდან შეგვეძლოს.

საფუტკრეში უნდა მოვაწყოთ ფუტკრის საწყურებელი, რისთვისაც გამოსადეგია ლითონის ან ხის კასრი სახურავითა და ონკანით.

საფუტკრეში მუშაობისათვის თავდაპირველად საჭიროა შემდეგი ინვენტარი: პირბადე, საბოლებელი, საფხეკი, სადღეე გალია, საფუტკრის დანა, ფრინველის ფრთა ან ჯაგრისი ფიჭიდან ფუტკრის მოსაცილებლად, ჩარჩოების გადასატანი ყუთი. შემდგომში უნდა შევიძინოთ თავლის გამოსაწერი ციბრუტი და საკონტროლო სასწორი.

საფუტკრეში მუშაობის დაწყებამდე უნდა დავიხანოთ ხელ-პირი. დამწყებ მეფუტკრეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ოფლის, ნივრის, ოდეკალონის ან ალკოჰოლის სუნი ფუტკარს აღიზიანებს. უმჯობესია გვეცვას თეთრი ფერის ხალათი, რადგანაც შავი ფერი ფუტკარს აგრესიულად განაწყობს; საბოლებელი კარგად უნდა გავაჩალოთ და სკას, რომლის გასინჯვასაც ვაპირებთ, საფრენიდან 2-3-ჯერ შევუბოლოთ, რომ ფუტკარი დაწყენარდეს. საერთოდ, ფუტკართან უნდა ვიმუშავოთ დინჯად, რადგანაც სწრაფი მოძრაობები ფუტკარს აღიზიანებს;

ლალიანობის პერიოდში ჯობია სკები გავსინჯოთ დილის საათებში, როცა მოზრდილი ფუტკარი გასულია სამუშაოდ. თუ ლალიანობა არ არის, მაშინ სკა საღამოთი უნდა გავსინჯოთ.

ფუტკარს მრავალი დაავადება ემტერება, რომელთაგან დღეისათვის ყველაზე უფრო ვერავა ვარაუტობს ტკიპით დაავადება, რისთვისაც საჭიროა ფუტკარს გაზაფხულზე და შემოდგომით შევასხუროთ მკაფუნეშეავას. ხსნარი.

აღნიშნული დაავადების გავრცელების შემდეგ ფუტკართან მუშაობა იმდენად გართულდა, რომ დღეისათვის სათანადო თეორიული ცოდნის გარეშე ფუტკრის მოვლა-პატრონობა თითქმის წარმოუდგენელია. ამიტომ სასურველია დამწყებმა მეფუტკრემ გამოიწეროს ყოველთვიური ჟურნალი „პჩელოვოდსტვო“, ასევე მეტად სასარგებლო წიგნია 1982 წელს გამოცემული დ. ანდრულაძისა და ფ. ფრანგულაშვილის „მეფუტკრეობა“ და სხვ.

დამწყებ მეფუტკრეს შეუძლია გაწევრიანდეს რესპუბლიკის მეფუტკრეთა ნებაყოფლობით საზოგადოებაში, რომელიც თბილისში გურამიშვილის ქუჩაზე (№ 15ა) ფუნქციონირებს. ეს საზოგადოება მეფუტკრეობის ინდივიდუალურ სექტორს აერთიანებს და მოწოდებულია ხელი შეუწყოს მეფუტკრეობის განვითარებას საქართველოში, აქ თვეში ერთხელ — ყოველი თვის ბოლო კვირას — ტარდება ლექცია — მოხსენებები და საუბრები მეფუტკრეობის აქტუალურ საკითხებზე და დამწყებ მეფუტკრეს შეუძლია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან მიიღოს სასარგებლო რჩევა-დარიგება.

ზურაბ თაბათაძის მიხედვით.





ეჭვა სენია განასაზღვრის შესახებ. ლონდონ პროკურორის... დიდიხელად ვიღერ ქმინდა, რომელ არს სენია? (ქმ I, 27). უ. ი. დიდიხელად ვერსამდე სენიათი... სამეფო უწყობა, ვერსიონი... სტრამბინს და ვენანდის ციხეები და თან არ დაეცა... წყდის, რომ ლონდონ პროკურორის... უწყობა ანუ პარიზის... ზედა სტრამბინს ხანის, ანუ ქმ I, II-1 საუკუნეების... ეს პარიზის ზედა ხელმძღვანელები სტრამბინსული ქრონიკლის... სენიანის მითაღიერებონობისა და სიძლიერის შესახებ. პარიზისში, მაგრამ შესხვია.

## ახსოვს

დამასახიანებელი. ამ ტრადიციის მომართ მამაკისის და ძლიერი მუშაკის სპირითა და განახლებად... ამ წესს სენიან არც დღეს დღობდნენ, როდესაც არის, რომ ვერც ხეობენ იმაზე მეტს ვერ იტყვიან, რაც იქ ამჟამად ცხოვრობს. ამიტომ ნამატი უნდაწარმო, უმაგობ, ნებინარი, პიროვნული შეხედულებებისგან... კვირის რეჟიმის... უფრონი მიუძღვრება ადგილსამყოფლის საქმეებს... არაფერი შეიძლება, რომ მათი განთავსის არევის მხოლოდ საქართველო არამოხდებოდეს. ჩვენი უკუხვის რომელ კეთებაზე არ შევძლებით სენ ახალაზრდებს: ამბავსავე გენებავთ

## პენსიები

ლონდონ პროკურორის ამ ცნობით დადო იურ დანტერესებულად. იგი ვაგინიანი... მართამ დიდძველ ვერ დიდინ... და თუ რა წყაროები სარგებლობდა ქართველი ისტორიკოსი.

დღესათვის ჩრდილოეთ კავკასიაში სენია განასაზღვრის ანტიკური ხანის და საუკუნეებისად, მცხეთის დედა სახეობულია (ლ. ლავროვი, ს. ხარაძე), ალ. რომაძე, თ. მიხალაძე).

სტრამბინს იმასვე ხასს უსვამს, რომ სენიანები შედარებით კავკასიის მამოლობდნენ მცხეთის მხარეში მის შემოქმედისათვის.

სტრამბინს ეს ეწმინდა, რომ რომელიმე შეხე ხასის მისაბრუნო იყოს ხათეკმა, მასზე ამათი მონოგრაფიები დაწერილი. სამხრეთ გამოიხატება და წარსულის სიდიდით იამაზობდნენ. ჩვენ ეს ამ ცნობის გამგებლობა ვეგვიითყობა. იმდროინდელი ვერსიონის და ფიქრების მას, რაც უფროსი ხელს, ვიდრე მისი სენია განასაზღვრის იმისა, თუ რაი ვიკითხავ და რაი ვართ დღეს.

როდენ ვახუშტის მოხელე უნდა ვეგვიფოს ეს ცნობები... და სიძლიერეს, ერთი არს ცხადია — ისინი რომელიმე რეალურ ვითარებას ამასხენ, რაც მცხეთისთვის თვალსაზრისით თანდათან პოულობდა გამოართვის.

გამგებლობის ტენდენციის სენიანისთვის ილეთებამე იყო

რომელიც დასაუბრად თუ ჩამოვლიდნენ კუთვნილი შერ და ფარად ენა დაღასაქართველო. სენიანის ცონროს ეგვმდებარება და სასულიერო კავსებით სენიან და უღლებილები. ხანებთან ერთად ზღვის ნავსადგომები მათი მამარი ზღვიანდღეობის არსე წარმოადგენდა.

ესე იყო თუ სენიან საბოლოოდ მხოლოდ ცოცხლის, ენერჯის და ცენინსულის საფრთხეში დიდი ხნის მცირე ნაყოფიერი შემოგანასა.

თუკაცა და ციკორი ცენიანდენ, მათე დიდი ველით მუდამ მამარი ზღვიანდღეობის დიდებენ, თანარ მეთვის ხამგარის ესათუებობდენ, ქარ

## გონივრები

თუ სიკვდილები, ხატეკეხის და მთიანეს სენიანებენ ესეც არის და სარწმუნოების სიკვდილოდ ჩადსინი ძალის მქონედ რატინდენ, სამშრობების შემოგებობის საყოფადგენის ინასახდენ, მინაშე დიდებდენ, მერე ისევ ამამაშეუბრებდენ მოვლენ, ვით უოლოდსინი, დინდის საყლასა და ზეგამეს სიკვდილებად და... ლილონის ომბინად გუფუნდენ სენიანებზე და ისეც ცხოვრობდნენ სთიბდღებობდა ჩვენს მაღალს ხეგს მაღალს მიწას.

ფეხლოვრის საქართველოს მუხევერებიც განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივით სთიბდენ თიკედლენ მთიელ ძემებს, აწინაგრებდენ სამეფო კარზე, ხელს უწყობდენ აღმშენებლობის საქმეებს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის მათს მამულებს ასახეობდენ.

დიახ, ბარის მამულების ასახეობდენა...

შემობინაში პირობები სენიანებიც დიდეს ცხოვრებას, შრომის სერიკა, შრომის პათოსი ისეიო ლილონ იყო, რომ ვითი ამისთვის ვერცხეა დიდი მისკლები... ცთამბრუნული მისსამყოფლს მაურად რომ შესდომობდენ მთის ხეზარდებს.

გიხვებზედა საყოფი დღეობი, კურობდა სამხრეთ ქვე, იფლირის სერიკებზე ნიკოას ხარის ხათეკეხე მისკლებს, რომ სენიანის სერიკების განგებობისა დაღობდა.

გიხვებზედა საყოფი დღეობი, კურობდა სამხრეთ ქვე, იფლირის სერიკებზე ნიკოას ხარის ხათეკეხე მისკლებს, რომ სენიანის სერიკების განგებობისა დაღობდა.

საუკუნეებით დაგვიღობდა თუ მუხევერებიც არც იღობდა. ცარიზმ, თვისი მზავრული ველოკორსული ხელით ცილობდა, ლავანი მთელს თავისუფლებისმოყვარე მთიელისათვისაც სენიანის ახალკარის მზავრის კონსტანტინე დადგენილთან ლომის ზოგადიერ წარსულს ქვეითის განერგა-ღუბენარბო გავარის წინაშე, რომელიც საფრთხის უნდადა სამთავრის მამაკეტელ მოქიანს. მაგრამ მამაკე მთიელმა ვერ მზავრის ვასიტკრასა სთიკით და მერე უკეთეს ანადა შეუზარია მკურნალებდენ, თანარ მეთვის ხამგარის ესათუებობდენ, ქარ

## გონივრები

სენიანის სასულიერო შეუსუბუქეს. ჩამობრინა ვადამბრები მით შეუსუბაუს. დიახ, მხოლოდ შეუსუბუქეს. საკუთარი თავის დაცვა დანახალად ჩაუთურეს.

ამომხენ, მათი ნამზერნი ამაინად ტრამსენი, ყირბოდ, სოფელ ხალდობი მცხოვრებენ, ვინ იყის?...

„პესიარონი“ თუ საქართველოდენ მათე გვიყარს, მერე და სენიანები ამამკვეცი მზავრის... თუ მათს ილია ვეკვავასეც ბესიონის ნიადაგისათვის და ისეც სულხანსაბა ორბელიანი მთელის ანთვორას ამფორებელი მოვლენა ველზე ხანობით მიშეპეულ ხასს.

სენიან საქართველოს მსაფუღელის დროსაც არასოლიანად იღობდნენ და საქართველოს ერისთვის აღწარმებითი კვეციანობის მცხოვრებელი, მთიერი მზრების მუხეღად იდენ ნამოლოური კით თანას.

სენიანი კუთვნილი ადენობა იყო მათი... მამკეტეცა და ერთი ანტიკრების სასულიერო სტუდის სტუდენტებისათვის.

მამის მთიელ კავკასია ებრირილობდა მის უღლებდელუთოსს.

მამე არტლოვანი შირაკი-ღელუღა ქარი ვეკვნი სენიანის ეგას, ბრძოლის ასახეობდა პაპია სოფელს ხალდ აქციუს, დროე მზავრის — ხახვებო, როცა თიკების ყველა შრომისუნარიანი სენიან მამკეტეც გარესამეზობლებსა უფრად იღობდნენ ხალდე ამბობდა ამ მოვლენის სენიანი, ხალდე დღობდას“ (ხალდის დღობდასას) ეძინათ.

მაგრამ მეთვის ხარბაზებმა ეწინაგრესი დააუტეს ასოფლიან კოჭეჩენ დადინ ადამინს მუღობდნენ სტრუქტურ უფრო მთიერი სენილები კოჭეჩის საბრჭებელი გამოთვლები დაღობდნენ მთიანი ადამინები.

იმპერიის ჯარებმა დიდი მსხვერპლის გადებით მიიღვერის საწარფლს.

ესე იყო მხოლოდ ხალდე ნაყოფიერი დიდი აქციონამბობეების იმპერიის სენიანი დღობდა ხანობდას, ნასოფლირი

ხალდე ისეც აღდგა, კოჭეჩი დაჩრჩენ კოჭეჩად.

ხალდედენ ბრალი დასდენ, როგორ გაეგებეთ მსაფუღელეობა და სასამართლოს ვადასინ.

34 სენიან წარსულს სამსამართლოს წინაშე.

ამომხენდა დიდი ილია: როგორი აქციუსის ანთვორას, ათავსე და ზეგამე მათი დაღობდნენ უმბო აქციუს, ნიკოლორაჟის, მათე მონოგრაფი ქართველ ცხოვრობდენ.

დავითი ისტორიკოსებიც ნიკოლორაჟის წინაშე დიდებდენ. მათ ვერ მზავრის გამოკედი, რომელიც სამსარტინო ზიზეხე გაყარა რუსეთის ცარიზმს.

სენიანის სასულიერო შეუსუბუქეს. ჩამობრინა ვადამბრები მით შეუსუბაუს. დიახ, მხოლოდ შეუსუბუქეს. საკუთარი თავის დაცვა დანახალად ჩაუთურეს.

ამომხენ, მათი ნამზერნი ამაინად ტრამსენი, ყირბოდ, სოფელ ხალდობი მცხოვრებენ, ვინ იყის?...

„პესიარონი“ თუ საქართველოდენ მათე გვიყარს, მერე და სენიანები ამამკვეცი მზავრის... თუ მათს ილია ვეკვავასეც ბესიონის ნიადაგისათვის და ისეც სულხანსაბა ორბელიანი მთელის ანთვორას ამფორებელი მოვლენა ველზე ხანობით მიშეპეულ ხასს.

სენიან საქართველოს მსაფუღელის დროსაც არასოლიანად იღობდნენ და საქართველოს ერისთვის აღწარმებითი კვეციანობის მცხოვრებელი, მთიერი მზრების მუხეღად იდენ ნამოლოური კით თანას.

სენიანი კუთვნილი ადენობა იყო მათი... მამკეტეცა და ერთი ანტიკრების სასულიერო სტუდის სტუდენტებისათვის.

მამის მთიელ კავკასია ებრირილობდა მის უღლებდელუთოსს.

მამე არტლოვანი შირაკი-ღელუღა ქარი ვეკვნი სენიანის ეგას, ბრძოლის ასახეობდა პაპია სოფელს ხალდ აქციუს, დროე მზავრის — ხახვებო, როცა თიკების ყველა შრომისუნარიანი სენიან მამკეტეც გარესამეზობლებსა უფრად იღობდნენ ხალდე ამბობდა ამ მოვლენის სენიანი, ხალდე დღობდას“ (ხალდის დღობდასას) ეძინათ.

მაგრამ მეთვის ხარბაზებმა ეწინაგრესი დააუტეს ასოფლიან კოჭეჩენ დადინ ადამინს მუღობდნენ სტრუქტურ უფრო მთიერი სენილები კოჭეჩის საბრჭებელი გამოთვლები დაღობდნენ მთიანი ადამინები.

იმპერიის ჯარებმა დიდი მსხვერპლის გადებით მიიღვერის საწარფლს.

ესე იყო მხოლოდ ხალდე ნაყოფიერი დიდი აქციონამბობეების იმპერიის სენიანი დღობდა ხანობდას, ნასოფლირი

## გონივრები

დღობდენ მათე გვიყარს, მერე და სენიანები ამამკვეცი მზავრის... თუ მათს ილია ვეკვავასეც ბესიონის ნიადაგისათვის და ისეც სულხანსაბა ორბელიანი მთელის ანთვორას ამფორებელი მოვლენა ველზე ხანობით მიშეპეულ ხასს.

სენიან საქართველოს მსაფუღელის დროსაც არასოლიანად იღობდნენ და საქართველოს ერისთვის აღწარმებითი კვეციანობის მცხოვრებელი, მთიერი მზრების მუხეღად იდენ ნამოლოური კით თანას.

სენიანი კუთვნილი ადენობა იყო მათი... მამკეტეცა და ერთი ანტიკრების სასულიერო სტუდის სტუდენტებისათვის.

მამის მთიელ კავკასია ებრირილობდა მის უღლებდელუთოსს.

მამე არტლოვანი შირაკი-ღელუღა ქარი ვეკვნი სენიანის ეგას, ბრძოლის ასახეობდა პაპია სოფელს ხალდ აქციუს, დროე მზავრის — ხახვებო, როცა თიკების ყველა შრომისუნარიანი სენიან მამკეტეც გარესამეზობლებსა უფრად იღობდნენ ხალდე ამბობდა ამ მოვლენის სენიანი, ხალდე დღობდას“ (ხალდის დღობდასას) ეძინათ.

მაგრამ მეთვის ხარბაზებმა ეწინაგრესი დააუტეს ასოფლიან კოჭეჩენ დადინ ადამინს მუღობდნენ სტრუქტურ უფრო მთიერი სენილები კოჭეჩის საბრჭებელი გამოთვლები დაღობდნენ მთიანი ადამინები.


იმპერიის ჯარებმა დიდი მსხვერპლის გადებით მიიღვერის საწარფლს.

ესე იყო მხოლოდ ხალდე ნაყოფიერი დიდი აქციონამბობეების იმპერიის სენიანი დღობდა ხანობდას, ნასოფლირი









გახდნენ, უკან დაეხიათ. დედა მალალი თანამდებობის ჩეკისტს შეეხვეწა, გაეთავისუფლებინათ მისი შვილი და იგი ცოცხალი გადაარჩა, და ვახდა მოწმე. ხოლო სხვებთან ერთად მისთვისაც რომ სული გაეფრთხობინებინათ, აღარ დარჩებოდა მოწმე, როგორც ეს ყველა დანარჩენ შემთხვევაში ხდებოდა. სხვათაშორის, აღარ გვეყოლებოდა მწერალი ვალენტინ კატაევი).

ამრიგად, იგი მიჰყავთ დაკითხვაზე. „მომესმა ფეხის ხმა. მეექვსე სართულის ბაქანზე გამოვიდა ქალიშვილი, რომელსაც ეცვა გიმნაზიელის კაბა, მხოლოდ უწინსაფროდ, ნამდვილი მზეთუნახავი... ამაყად აწეული ჯიშაინი ნიკაპი გამოუთქმელი ზიზლისაგან გაფითრებოდა. ყელი მოშიშვლებული ჰქონდა. ჩვეულებრივი მაქმანის საყულო და მაქმანისავე მანქეტები აღარ ეკეთა. უკან ნაგანმომარჯვებელი კომისარი მოჰყვება, მისი კომისრის ალიკვალი. ორივეს შავი ტყავის ქურთუკი ეცვა და რალაციტ ტროცკის იერი ჰქონდა... ერთს თავისი დაკითხვიდან ქვევით მიჰყავდა, მეორეს — დაკითხვაზე ზევით... ქალიშვილს ლოყებზე ალმური ასდიოდა. ჩამოქნილი ცხვირი სპილოს ძვლისფერი განდომოდა. ეს იყო ცნობილი ვენგრუანოვსკაია — ქალაქის ულამაზესი გიმნაზიელი. სწორედ მასთან იცეკვა მან ოდესღაც ხიავატა... იგი იყო პოლონეთ-ინგლისის შეთქმულების მონაწილე. მათ გადაწყვიტეს, მოეწყობათ აჯანყება, ხელთ ეგდოთ ქალაქი, გაეჟლიტათ კომისრები და კომუნისტები და გადაეცათ იგი დიდი პოლონეთისათვის „ზღვიდან ზღვამდე“.

ახლა, რა თქმა უნდა, მათ მოსპობენ. იქნებ, ამალამაც კი, მასთან ერთად. მოგროვდება ოცი კაცი, და საკმარისი იქნება ერთი სისათვის... ერთი საათის სამუშაოა.

ამბობენ, რომ ამ დროს ქალებსა და მამაკაცებს სიის მიხედვით არ აცალკევებენ. მაგრამ ჯერ უნდა გაშიშვლდნენ. როგორც დედიშობილა დაიბადა, ისე წავა.

ნუთუ ვენგრუანოვსკაიაც ყველას თვალწინ გაიხდის?..

...გამომძიებელი ჩრდილში იყო. ახალგაზრდა უდიდამო სახე, გრძელცხვირა ჭაბუკი, ცხენისთვალეა. უზარმაზარ საწერ მაგიდაზე იდაყვთან უდევს კოლტი, რომელსაც საპოხის სუნი ასდის. დიდებული კაბინეტია, ტყავის ავეჯით მოწყობილი. იქნებ აქ, ამ ცოცხანის წინათ, რომელიმე ადვოკატი, მამაჩემის კოლეგა ცხოვრობდა... მაგრამ კიდევ უფრო შემზარავია მეწამული ტილო, რომელზეც ასეთი ლოზუნგი იყო „სიკვდილი კონტრარევილუციას!“ ეს დროშა მას უკვე უნახავს საპირველმაისო დემონსტრაციაზე. ამით მიუძღვებოდნენ გუბჩეკას თანამშრომელთა კოლონას. კედელზე დროშის ქვეშ ჰქონდა ნაცნობი პორტრეტი: უჩარხოო პენსენი, ხილვადაკარგული თვალები სიკვდილს, და მხოლოდ სიკვდილს გვიქადიან...

...ნახევრად სარდაფის დერეფანში ფეხის ბრაგუნე გაისმა. ზედიზედ იღება საკნების კარები. ახლოვდება ხმა, რომელიც წარმოთქვამს ნაცნობ და უცნობ გვარებს სიის მიხედვით.

— პროკუდინი, ფრონ დიდერიქსი, სიკორსკი, ნიკოლაევი, რალი, ვენგრუანოვსკაია, ომელჩენკო. ამცდება თუ არა? არ ამცდა. საკეტმა გაიხსაკუნა. ნახევრად გამოღებულ კარის ჭუჭრუტანაში გაიღვავა

ტყავის ქურთუკმა. მხარზე გადაკიმილი ღვედი. ყუბანურა. ხელის ელექტროფორანი. სინათლის ათინათმა გადაურბინა სამკუთხა ბეჭდიან ქალაქის ფურცელს.

— საკნიდან ნივთებით. კარაბაზოვი, ვინიტიკი, ნიჩებორენკო, ვიგლანდი, ვენგრუანოვსკაია...

...დრომ შეწყვიტა არსებობა. გარეთ უკვე ღამე ჩამოწოლილიყო, პეტუნისას სუნი იღვა, და ისინი ისხდნენ ღია ფანჯარტურში, გარაჟის მახლობლად, სადაც უკვე ქოქავდნენ სატირთო მანქანის ძრავას (ეს იმიტომ, რომ ჩაჩნით სროლის ხმა).

პირველი ორი უკვე გაქრა. მათი ნივთები გროვად ეყარა გაზონზე. ორჯერ გაისმა სროლის ხმა, რომელიც ყრუდ შთანთქა აგურის კედელმა... გარაჟის ნახევრად გამოღებული ჰიშკრის მიღმა უცნაური საქმიანობა მიმდინარეობდა...

...სუსტი ძაბვის შიშველი ელექტრონათურის ქვეშ, პეტუნისასა და გულისაბას კლუმბაზე, გროვად დაყრილი განდილი ტანსაცმლის გვერდით იღვა ნაუმი გულადი, მას განზე გაედგა შევროსჩეჰმანი ფეხები და ეჩვენებოდა, რომ ცეცხლითა და მავნელით ამკვიდრებდა მსოფლიო რევოლუციას...

მაგრამ უკვე ნაუმი გულადს ცხადში ამხდარი წინასწარმეტყველური სიზმარებით ეწვია ხილვა. მან თითქოს გადაუქროლა „...შავ ქანდაკებასა და იტალიურ შადრევანს ლუბიანის მოედანზე და მიხვდა, რომ უკვე ვერავითარი ამქვეყნიური ძალა მას ვერ იხსნის, და იგი მუხლებზე დაავარდა უცნობ ადამიანთა წინაშე, რომლებსაც უკვე ხელში ეჭირათ იარაღი. იგი ეპოტივებოდა მათ ხელებს, იარაღის ზეთის სუნი რომ სდიოდა (რა ვუყოთ მეტსახელს — „გულადს?“), დორბლიანი პირით კოცნიდა ფენსაცმლის კრემით გაპრიანებულ ჩექმებს.

ყველაფერი ამო იყო, რადგან ის საზღვარზე შეიპყრეს სამხილი წერილით, გაძეგებული ტროცკისგან რომ მიჰქონდა რადიკთან... შეაგდეს სარდაფში პირით აგურის კედლისკენ. გადაეყარა წითელი მტვერი და მან არსებობა შეწყვიტა...

ამ სტრიქონების წაყთხვისას მრავალი სხვადასხვა აზრი შეიძლება დაგებადოთ. ჯერ ერთი, თვალში გვეცმათ სხვაობა დასახვერტად გამოყვანილი ამაყად თავაწეული ლამაზი გიმნაზიელისა და მისი მკვლელის ქცევას შორის, დორბლიანი პირით ჩექმებს რომ ლოკავს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება შურისძიების მსგავსი გრძობაც კი გაგვიჩნდეს. მაგრამ გვინდა ყურადღება სხვა რამეს მივაპყროთ. ხომ არ გეცნაურებათ ნორჩი გიმნაზიელისადმი წაყენებული ბრალდება: „პოლონეთ-ინგლისის“ შეთქმულება იმ მიზნით, რომ ოდესა ხელთ იგდონ და გადასცენ დიდ პოლონეთს, „ზღვიდან ზღვამდე“? განა ეს ისეთივე სისულელე არ არის, როგორც 30-იანი წლების ბრალდებანი, როცა საბჭოთა არმიის მეთაურები, კორპუსის მეთაურები და ბრიგადის მეთაურები იყვნენ ხან იაპონიის წაშუშები, ხან შეთქმულები ხელში ჩაგდების, მოსპობის, განადგურების მიზნით? 20-იანი წლების დამდგისა და 30-იანი წლების შუა ხანების ფორმულირებები საოკრად მსგავსია.

ახლა კი დავუბრუნდეთ „მემორიალს“. აღმართულ მემორიალში ხომ თუნდაც ერთი პატარა ქვით — გინდა თუ არა ეს — უკვდავყოფილი აღმოჩნდება ნაუმი გუ-

ლადის ხსოვნაც, რადგან იგი დახვრიტეს ოცდაათიან წლებში სტალინის დროს, მაგრამ მემორიალში მშვენიერად ჩვენს წლებში ელის ხსოვნის კვალსაც კი ვერ ვხედავთ. რომელიც ნაუმი გულადმა დახვრიტა. საქმე მარტო ვენგრუანოვსკაიას როდი ეხება, იგი ხომ მარტო არ ყოფილა. როგორც სწორად წერდა ნ. მანდელშტაიმი, ადამიანებს ფენა-ფენად ცელავდნენ კატეგორიების მიხედვით. და რა ვუყოთ იმათ ხსოვნას, ვისი სისხლიც ღარში მიედინებოდა? რა ვუყოთ იმათ ხსოვნას, ვისი სისხლსაც კლოზეტში ჩაშვებულნი წყლით რეცხავდნენ? რა ვუყოთ იმათ ხსოვნას, ვისი სისხლსაც ძაღლები ლოკავდნენ მირგოროდის ქუჩებში? ნუ დაგვაიწყდება, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს უკლებლივ ყველა ქალაქში ეწყობოდა, როგორც კოროლენკომ უწოდა, გაუსამართლებელი, ადმინისტრაციული დახვრეტები.

რა ვუყოთ 1929 წლის მსხვერპლთ, როცა მილიონობით უდანაშაულო გლეხს ერეკებოდნენ ტუნდრაში, რომ სიცივისა და შიმშილისაგან სული ამოხდომოდან? რა ვუყოთ 1933 წლის ათეულმილიონობით მსხვერპლს, როცა უკრაინაში, ყუბანში და ვოლგაზე მშობლები საკუთარ შვილებს ჰამდნენ, რადგან იქ ინსპირიებული იყო შიმშილი?

აპირებენ ახალი მემორიალი „მიუსადაგონ“ ეგრეთ წოდებულ სანაპიროს სახლს, მაგრამ სად, რომელ გეოგრაფიულ წერტილში უნდა აღიმართოს უკრაინის, ყუბანისა და ვოლგისპირეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთ რუსეთის წამებულთა, ყაზახეთისა და ყირგიზეთის მესაქონლეთა, ტაჯიკეთის მეზღვთა, უზბეკეთის მშრომელთა, კავკასიის ხალხთა, ბელორუსთა, წმინდა რუსული გუბერნიების გლეხთა ხსოვნის მემორიალი?.. ვერც ერთ გეოგრაფიულ წერტილს. ვერც ერთ „სანაპიროს სახლს“ ასეთ მემორიალს ვერ მიუსადაგებენ. მთელი ჩვენი მიწა მათთვის ერთიანი მემორიალია. ნუთუ კვლავაც მოცხვად გავჩუმდებით იმის ხსენებაზე, თუ როგორ უკანონოდ და მხეცურად ამოჟლიტეს მეფის ოჯახი: ოთხი გოგო, ბიჭი, ქალები. შევეცდებით თუ არა, დავივიწყოთ „რუსეთში კაზაკების გაუქმების“ დეკრეტი, რომელშიც საგანგებო დანიშნულების ნაწილებს ევალებოდათ. დედაბუდიანად ამოეწყვიტათ კაზაკობა, და, რომელმაც (დეკრეტმა) შეიწირა მილიონზე მეტი კაზაკი, არის მონაცემები, რომ რუსეთში რევოლუციამდე იყო 360 000 ეკლესიის მსახური, 1919 წლის დამლევსათვის კი 40 000 დარჩა. დავივიწყოთ ეს? თუ თავი მოვიტყუოთ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა? თუ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღვმართოთ ცალკე მემორიალი?

მაშინ „მემორიალის“ წერილის ხელის მოწერაზე იმიტომ კი არ ვთქვი უარი, რომ სტალინის რეპრესიების მსხვერპლნი არ მიმანია უკვდავყოფის ღირსად, არმედ იმიტომ, რომ მათი უკვდავყოფით, სამუდამოდ დავიწყების ჩრდილში დარჩება ყველა დანარჩენი მსხვერპლი. და ისინი ასობით, ათასობით უფრო მეტნი არიან, უფრო სასტიკი ხვედრი ერგოთ, რით ვხელმძღვანელობთ მემორიალს რომ ექმნით, ნუთუ მსხვერპლთა რანგით? რამდენად სამართლიანია ეს და, არ მეშინია ვთქვა, რამდენად ზნეობრივი?

თარგმან ღოღო ჩაპარიაძე.





# სიქუა სასაფლაოზე

გენუა. სასაფლაო... ტურისტების ჯგუფი გაოცებული უყურებს აქაურობისათვის უჩვეულო სურათს: ჯერ კიდევ მიწა-შუემშრალ საფლავთან სამი მამაკაცი დგას და რაღაცას გაუგებარს მღერის. ორი მათგანი განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოთქვამს სიტყვებს. მესამე ცოტა არ იყოს დაბნეული გამოიყურება, თუმცა მოტივს ისიც აყოლებს ხმას...

საბჭოთა ჟურნალისტების დელეგაცია იტალიაში მოგზაურობდა. ჯგუფში ორი ქართველიც იყო: აბელ მიქიაშვილი და ქუთაისის პედინსტიტუტის დოცენტი ლაშა დვალი. რომის, მილანის, პიზას დათვალეირების შემდეგ ჟურნალისტები გენუას ჩავიდნენ. ისინი ოტელ „ოლიმპოს“ ვრცელ ვესტიბიულში ტრიალებდნენ, ვიდრე ნომრებში დანაწილდებოდნენ.

— მიქიაშვილი! — იძახის ჯგუფის მამასახლისი, — ადმინისტრატორთან მიდი, შენით ძალიან დაინტერესდა! აბელი ბარიერს მიუახლოვდა. — თქვენ ჯორჯიანი ხართ? — რუსულის მსგავსი რაღაც სიტყვებით მიხვდებოდა სათქმელი იტალიელმა. — გახლავართ. — ჯორჯიანი საბჭოთა კავშირიდან ხომ? — ისევ ჩაეკითხა იგი. — დიახ!

იტალიელმა განაგრძო რუსული სიტყვების მარავის თავისებური დემონსტრირება, რაც საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: იგი იცნობს ერთ აქაურ ჯორჯიანოს და თუ სენიორს სურვილი ექნება, წარუდგენს კიდეც.

— სიამოვნებით! როდის შემახვედრებთ? — ხვალ პორტიე არ მუშაობს, ისვენებს. ზევ დილით, 12 საათამდე დაელოდეთ ნომერში და აღდენცია იქ შედგება. მთელი მეორე დღე გენუის ღირსშესანიშნაობის გაცნობას მოანდომეს საბჭოთა ჟურნალისტებმა. ან კი რალა არ არის ღირსშესანიშნავე ამ უძველეს და ულამაზეს ქალაქში. ახლა იმის აღწერას აღარ შევეუდგებით. მხოლოდ იმას დავეძნეთ, რომ შეხვედრისათვის დათქმულ დღეს იტალიელი ქართველის მოლოდინში მთელი დღია სასტუმროში ჯდომა, როცა გარეთ ამდენი საინტერესოა და შენ კი სულ რაღაც სამიოდე დღე გაქვს ხელოვნების ამ ნიმუშე-

ბის დასათვალიერებლად, არაფერი სახარბიელოა.

დროის მოსაკლავად აბელი და ლაშა ბანქოს თამაშობდნენ. ბოლოს ლაშას ნერვებმა უმტყუნა და აყვირა:

— შე კაი კაცო, ამ ოხერ „დურაკას“ საქართველოში ვერ ვითამაშებდი, მაინც და მაინც გენუა იყო ამისთვის საჭირო? აბელი ტელეფონს დაწვდა. პორტიემ რომ ვერაფერი გააგებინა სტუმარს, ისლა მოახერხა ეთქვა: ჩემთან ჩამოდი და ყველაფერს აგინსნითო. მერე კი აი რა გამოიჩვენა: ოტელ „ოლიმპოში“ და საერთოდ გენუის ყოველ სასტუმროში სისტემატურად ხედავენ წელში მოღუნულ, ჯონზე დაყრდნობილ მოხუცს. გაუთავებლად ერთსა და იგივე მოტივს ლილინებს და ასევე ერთი და იგივე კითხვა აკერია პირზე — „ხომ არ გაჩერდა თქვენთან საბჭოთა დელეგაცია და არის თუ არა ვინმე ჯორჯიანი ამ დელეგაციაში?“

— მე ყოფილი მომღერალი გახლავართ. ის რთული მოტივი დავიმანსოვრე კიდეც, — ამბობს პორტიე, და რაღაც გაუგებარი ჩაილიონა.

— მერე, სად არის ის ჯორჯიანი? — შეეკითხა ლაშა.

— ჯორჯიანი ყველაზე ახლოსაა ჩვენს დალაქთან, რადგან ყოველ მეორე დღეს წვერს იბარსავს. წელან დალაქმა მითხრა — მთელი კვირა არ გამოჩენილა, ან ავად არის, ან მოკვდაო.

— მამაშენი მოკვდა შენი ვაზრდისთვის, — ქართულად ჩაიბურღლუნა აბელმა.

— რა ბრძანეთ? — იკითხა იტალიელმა, — ისე, თუ მაინც და მაინც გინდათ ნამდვილი ამბის გაგება, სინიორებმა იქირავეთ ტაქსი. დალაქმა სახლის მისამართიც იცის, მიგიყვანთ.

ლაშა მაშინვე დათანხმდა. „ჯორჯიანოს“ სახლში მისვლამდე პორტიემ დაამტკიცა, რომ ნამდვილი გენუელია. ჩინებული გიდი გამოდგა, ბევრი საინტერესო მოუთხრო ქართველებს.

და აი, ჩვეულებრივი სამსართულიანი სახლი გენუას ცენტრში. სუფთა, მოვლილი სადარბაზო. მეზუფე სართული. ლაშა კარებზე წარწერას კითხულობს.

„ჩელინი ექიმ-სტომატოლოგი“.

კარი გაიღო და იმას, რაც მაღალმა, გამ-

ხდარმა იტალიელმა ქალმა ჩაიღინა, ოა თქმა უნდა, სტუმართმოყვარეობას ვერ და არქმევით... ეს უფრო სტუმრისადაა შიში იყო: როცა შეიტყო, რომ ამ სტუმარს ორი ჯორჯიანოა, ისეთი ყვირილი ატეხა, ისე ენერგიულად იქნევდა ხელებს, რომ აბელს და ლაშას აურზაურზე გამოსული მეზობლების მოერიდათ და მაშინვე აპირებდნენ წამოსვლას. მაგრამ ახლა მათი იტალიელი გიდი გააჩქადა, იგი ოლიმპიური სიმშვიდით იგერიებდა თავდასხმას და დაყინებით უმეორებდა გაავებულ დედაკაცს ერთსა და იგივე შეკითხვას, როცა პირში ჩალაგამოვლულები უკან გამობრუნდნენ და ტაქსში ჩასხდნენ, პორტიემ საინტერესო ცნობები მიაწოდა სტუმრებს.

ჩელინი ნამდვილად ქართველი ყოფილა და ასო-ასოდ დამარცვლა გვარი — ჩელიდზე, ანუ ჭელიძე. იგი აქ, გენუაში დაბადებული და უცხოელად ყოფილა. ეს ქალი მისი „ეკანოქა“ გახლდათ და ახლა იმიტომ ბოზობდა, რომ იფიქრა: საქართველოდან ჩამოსულნი ჩელინის ნივთებს მომთხოვენო.

...ჩელინი 10 დღის წინათ გარდაიცვალა. საერთო სასაფლაოზე დაუსაფლავებიათ. სასაფლაოს ნომერია 11530.

— სასაფლაოზე! — მოკლედ მოჭრა ლაშამ.

— მრიცხველს შეხედე ყოველ შემთხვევისთვის — აფრთხილებს აბელი, თუმცა ერთი სული აქვს, ისე უნდა სასაფლაოზე მისვლა.

— ჩანდაბას, — ხელი ჩაიქნია ლაშამ, — მაინც არაფრის მყიდველები ვართ. უთხარი, სასაფლაოზე წაგვიყვანოს! — მიმართა პორტიეს.

— მაგრამ მე რომ ამდენი დრო არა მაქვს?

— არა უშავს რა!

...საფლაოზე ერთადერთი თაიგული იყო. ისიც დამკნარი. რამდენიმე შაოსანი დაფარფატებდა საფლავებს შორის მოასფალტებულ ბილიკებზე, შიგადაშიგ ტურისტული ჯგუფებიც მოჩანდა.

კარგა ხანს იდგა ორი ქართველი უცნობი თანამემამულის საფლავთან. მერე აბელი ეკითხება პორტიეს:

— თქვენ თქვით, რაღაც გაუთავებლად ერთსა და იგივეს ლილინებდაო, ხომ არ გახსოვთ მოტივი?

იტალიელი მოკრძალებით ილიმება.

— ყოფილი მომღერალი ვარ-მეთქი, აკი გითხარით და ასეთი რთული სიმღერა ვერ არ გამოვიდა. სპეციალურად ვთხოვე ჯორჯიანოს, იმანაც რამდენჯერ გამიმეორა. აი ვნახოთ, თუ რამე მახსოვს! — და გაუბედავად ამღერდა, მერე თანდათან გათამამდა, უფრო გამოიყვანა მოტივი.

აბელი და ლაშა ერთხანს სულგანაბული უსმენდნენ და მერე კი ნელ-ნელა აყვნენ და ამღერდნენ, სიტყვებიც ჩააგვირისტეს მოტივიში.

— ლაღე, რატომ არ ჩამოიარე, მე რომ დაგიბარე,

— ლაღე, ღამის თორმეტ საათამდე ლამფა ვაბრიალე...

გენუა, სასაფლაო, რომელიღაც ბუდეშვილი ქელიძის საფლავი და ძველი რაჭული სიმღერა სამუდამოდ შემორჩა მახსოვრობას...

გვიპი ჭელიძე.







ტრადიციულად ასეა: სპორტის გულშემატკივართა გულისყური, უწინარესად, ფეხბურთისკენ არის მიპყრობილი. მთელი სპორტული მოძრაობის წარმატება-წარუმატებლობანი ისევ და ისევ საფეხბურთო გუნდების შედეგთა ფონზე აღიქმება. აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, არ ულხინს ქართულ ფეხბურთს, მის ლიდერს — თბილისის „დინამოს“. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა დინამოელები ლამაზი გამარჯვებებით გვახარებდნენ, როცა ჩვენი სტადიონის ოთხმოციათასიანი ტრიბუნები, დიდი საფეხბურთო სპექტაკლის მოლოდინში, პირთამდე ხალხით ივსებოდა.

ოთხმოციან წლებში, დიუსელდორფის ტრიუმფის შემდეგ დაწყებული ეს კრიზისი აქამდე გამოგვევა და არავინ უწყის, ჩვენი ფეხბურთი როდის გაიმართება წელში. გარანტიას არავინ იძლევა, მაგრამ გულშემატკივარს სრული უფლება აქვს, იკითხოს: სწორ გზას ადგას თუ არა ჩვენი გუნდი, ვუახლოვდებით, თუ ვშორდებით მიზანს?

სამწუხაროდ, ეს კითხვა, შეიძლება ითქვას, აქამდე უპასუხოდ რჩებოდა. თითქმის ყოველი სეზონის შემდეგ იცვლებოდა თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა და თითოეული ახალი უფროსი მწვრთნელი გვარწმუნებდა, ცოტა მოიცადეთ, სულის მოთქმის საშუალება მოგვეცით და ყველაფერი რიგზე იქნებაო. ამ დაპირება-შეპირებებში საქმე იქამდე მივიდა, რომ გუნდს უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის პრობლემა დაუდგა. შარშანდელი მეთოთხმეტე ადგილი წარმატებად არავის ჩაუთვლია, მაგრამ არც საყვედური დასცდენია ვინმეს — აქაოდა, კოლექტივმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, მეტისმეტი მომთხოვნი ნუ ვიქნები-ბითო. სპორტულ წრეებზე მოგასხენებო, თორემ გულშემატკივარი ვერასოდეს შეურიგდება „დინამო“ — აუტსაიდერს, ამავე დროს ბუნებით ოპტიმისტი ვახლავთ და უკეთესი ხვალისდელი დღის იმედით ცოცხლობს.

აი, დაიწყო ახალი საფეხბურთო სეზონი, უმაღლესი ლიგის გუნდები ნაბიჯ-ნაბიჯ შეუყვანენ ცხრათვიან მარათონს და ფეხბურთის მოყვარულის გულში, ნებისთ თუ უნებლიეთ, იმედმა დაისადგურა: იქნებ ამ სეზონში? (ასე იყო შარშან, შარშანწინ, იმის იქით, მაგრამ, სამწუხაროდ,



ნაციონალის ერთ-ერთი ტექნიკური მდივანი, აგრეთვე ტროცკის მდივანი 1933-1935 წლებში.

იმავე წელს მეხიკოში მოეწყო ტროცკიზე თავდასხმის პირველი მცდელობა. საქვეო პირი ცდილობდა კოიოაკანის ვილაში შეღწევას, თითქოსდა გამოგზავნილი საჩუქრის გადასაცემად. მცდელობა უკუგდებულ იქნა. მაგრამ „შიკრიკი“ უკვალოდ მიიშალა და მის ასავალ-დასავალს ველარ მიაგნეს, თუმცა სახლიდან მოშორებით დატოვა ასაფეთქებელი ნივთიერებების შეკვრა.

ამ დღიდან უკვე ნათელი გახდა, რომ ჩადოსნური წრე შეკრულიყო. ტროცკიმ თვითმკვლელობაზე ფიქრი დაიწყო. ყოველ დღით იმეორებდა: „წუხელ არ მოგველეს. კიდევ ერთი დღე გვარჩუქეს“.

ამ ოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე იყო ლეონტიევისა და რაბინოვიჩის ფსევდონიმით ცნობილი, შინსახკომის პოლ-

კოვნიკი ლეონიდ ვიტინგონი.

სწორედ ვიტინგონმა გადაიბირა მერკადერის დედა — კარიდადი... საყვარლად გაიხადა, მერე კი მისი მეშვეობით ჩაითრია საქმეში მერკადერი. სწორედ ვიტინგონი აღმოჩნდა ის „უცნობი“, რომელმაც მერკადერის ჩვენებით, 1939 წელს, პარიზში გადასცა მას კანადელი ჯეკსონის პასპორტი და 5 ათასი დოლარი ოკეანის ავღმა სამოგზაუროდ. ვიტინგონი იყო ავტორიც „ჯეკსონ მორნარის“ წერილისა, რომელიც დაპატიმრებისას უპოვეს მერკადერს. ტროცკის მკვლელობის დღეს ვიტინგონი და კარიდადი მერკადერს კოიოაკანის ვილის შორიანლო ელოდნენ. მზადყოფნაში იყვნენ, რათა მკვლელი წინასწარ დაგვეგმილი მარშრუტით გაემგზავრებინათ. მაგრამ ეს არ მოხერხდა.

მიუხედავად ამისა, მერკადერი ბედის ანაბარა არ მიუტოვებიათ: ეხმარებოდ-

ნენ ადვოკატებით, ხოლო მაშინ, როცა სასამართლომ მექსიკური კანონით სასჯელის უმაღლესი ზომა — 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ხელს უწყობდნენ სასჯელის მოხდის დროს.

მის შემდგომ ცხოვრებასაც ადვილად წარმოიდგენთ. 1960 წელს განთავისუფლებული მერკადერი ნახეს კუბაში, შემდეგ პრალასა და მოსკოვში, მერე ისევ კუბაში. იგი გარდაიცვალა ჰავანაში, როგორც პრესა იუწყებოდა, 1978 წლის ოქტომბერში, თითქმის წელიწადნახევრის ავადმყოფობის შემდეგ.

ცხოვრებიდან წავიდა კაცი, ვინც ნათელს მოჰქენდა ტროცკის მკვლელობის საიდუმლოებას. თუმცა, არც ისაა გამოცხადებული, რომ მას არც არაფერი სცოდნოდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომზადებისა და ორგანიზების შესახებ.

თარგმნა მინოზა ძიძიჯურაძე



# პასუხს ჩაეპიონატი ტაბვსუას

ყველა იმედი გვიცრუვებოდა, ილუზია თვალსა და ხელს შუა ქრებოდა).

წლებადელი ჩემპიონატის პირველი მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი პირი უჩანს, რომ „დინამოს“ ეყოფა ძალა და ოსტატობა, პირველ ათეულში მაინც მოიკიდოს ფეხი. სხვათა შორის, უფრო დიდი მიზნები არც გუნდის ხელმძღვანელობას დაუსახავს: „თავისი პოტენციით თბილისის ამჟამინდელი „დინამო“ არ არის სამეულის გუნდი და მაღალ ადგილებზე ფიქრი თავის მოტყუებას ნიშნავს, მაგრამ ერთი რამ შემიძლია თამამად ვითხრა: წლებულს გუნდი უკეთესად ითამაშებს, ვიდრე შარშან“, — ასე თქვა დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა დიდმის საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე.

„დინამოს“ მწვრთნელთა და რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ეს ტრადიციული შეხვედრა ახალი საფეხბურთო სეზონისათვის სამზადისს მიეძღვნა. ჩვენი ფეხბურთელები, შეიძლება ითქვას, უჩვეულოდ ადრე ჩაებნენ ამ სამზადისში. კოლექტივის ძირითადი წევრები ჯერ კიდევ 18 დეკემბერს გამოიხმეს შევებულებიდან. მიზეზი ცნობილია: იტალიაში უნდა გამართულიყო „ნაპოლი“-„დინამოს“ საქველმოქმედო მატჩი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო, დათქმულ ვადაში ამ შეხვედრის გამართვა ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, დინამოელებმა წლის დასაწყისში უმასპინძლეს დასავლეთ გერმანიის ჩემპიონს — ბემენის „ვერდერს“. ამ მატჩის შემოსავალი სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხა. ჩვენი ფეხბურთელების თამაშმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გუნდს არც ზაარბრიუკენისა და დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო ტურნირებში შეურცხვენია თავი.

მერე იყო საწვრთნელი შეჯიბრებები ლესელიძესა და თბილისში, საკონტროლო მატჩები საბჭოთა თუ უცხოურ კლუბებთან. ერთი სიტყვით, გუნდი ინტენსიურად ემზადებოდა სეზონის ოფიციალური შეხვედრებისათვის და, თუ რამდენად ეფექტური და ნაყოფიერი იყო ეს პერიოდი, ამაზე პასუხს ისევ და ისევ საკავშირო ჩემპიონატი გაგვცემს.

ახალ სეზონს ნებისმიერი საფეხბურთო კოლექტივი ცვლილებებით ხვდება. „დინამოს“ შემადგენლობაშიც გამოჩნდა ახალი გვარები, თუმცა მთავარი სიახლე ის არის, რომ თბილისის „დინამომ“ დამოუკიდებელი სამეურნეო-გარეო-საფეხბურთო კლუბის სტატუსი მიიღო. ვიმედოვნებთ, ეს ფერიცვალა სასიკეთოდ წაადგება რესპუბლიკის პირველ გუნდს, მთლიანად ქართულ ფეხბურთს. პროფე-

სიული კლუბის შექმნის იდეა, მოგვხსენებათ, ახალი არ არის. ნათქვამია: ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ბოლოს და ბოლოს, ნავსი ვატყდა — საბჭოთა ფეხბურთი, მისი უმაღლესი ეშელონი, ნელნელა პროფესიონალურ რეგულაციებზე გადადის. ამის წინაპირობა ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურმა პროცესებმა შექმნეს. სპორტი, ცხადია, ვერ დარჩებოდა ამ პროცესების მიღმა. ახალი საქმე ძნელად, ზიგზაგებით მიიკვლევს გზას. საფეხბურთო კლუბის ორგანიზატორებს არაერთი დაბრკოლების დაძლევა მოუხდათ. სირთულეები მომავალშიც იქნება, მაგრამ მთავარია, რომ პირველი ნაბიჯი გადადგმულია და ამ ნაბიჯს მიესალმება საზოგადოებრიობა, გულშემატკივართა დიდი არმია.

ზემონასწენებ პრესკონფერენციაზე, მოგვიანებით კი თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელ კრებაზე, მწვრთნელებმა, სპეციალისტებმა დეტალურად ისაუბრეს კლუბის მუშაობის პრინციპებზე. საფეხბურთო კლუბი — ეს არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ყველა იურიდიული უფლებებით. კლუბს აქვს თავისი საფინანსო ანგარიში, ბეჭედი, ემბლემა, სამკერდე ნიშანი. მის მუშაობას წარმართავს საბჭო, უმაღლესი ორგანოა კონფერენცია. კლუბს ჰყავს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, პასუხისმგებელი მდივანი. შემოსავლის ძირითადი წყაროა მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია, ინდივიდუალური და კოლექტიური საწვავრო შენატანები, საფეხბურთო ლატარეა, რეკლამა.

ვარაუდობენ, რომ თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წლიური შემოსავალი დაახლოებით 1 მილიონ 300 ათასი მანეთი იქნება, კლუბის შენახვა კი მილიონ 200 ათასი მანეთი დაჯდება. მოგება ისევ და ისევ ფეხბურთს მოხმარდება. კლუბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას, კლუბის პირობებში, ცხადია, მნიშვნელოვნად იზრდება ფეხბურთელთა საპრემიო ფონდიც.


რაც მთავარია, იზრდება კოლექტივის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. აქამდე, მეტაკლებად ყოველთვის იგრძნობოდა სწორედ პასუხისმგებლობის, კოლექტივისა და გულშემატკივართა წინაშე მოვალეობის გრძნობის დეფიციტი. კლუბი, უწინარესად, საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას გულისხმობს.

ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ელგუჯა ბერიოვილი







თარგმანად: 7. მოწყობილობა ეკრანზე ინფორმაციის ხედიით გამოსახულებისათვის; 8. ერთნაირი ნაკეთობის დასამზადებელი ნიმუში; 10. ატმოსფერული მოვლენა. 11. საქართველოს მდინარე; 12. შექსპირის ნაწარმების პერსონაჟი; 13. ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება, ამხანაგობა; 15. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 17. დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. მცოხნელი ცხოველი; 20. აკრობატებისა და მოვარჯიშეებისათვის სახტომი ბადე; 22. ნახევრად ძვირფასი ქვა. 25. მკვარა. 27. რსფსრ-ს საოქრო ცენტრი; 28. დაბლობი, ვაკე ადგილი; 30. შინ დამზადებული აბრეშუმის თხელი ქსოვილი; 31. უვითეუყავილიანი ფოთოლცვენია ბუჩქი; 32. საყნოსი თამბაქო, 33. ბერძნული მითოლოგიის გმირი.

შპუალად: 1. დამსახურების ან წარმატებისათვის გაცემული მონუმენტი; 2. დასავლეთ სამოს დედაქალაქი; 3. წინამძღოლი, მეთაური; 4. თეთრი ან მოცისფრო კრისტალური ნივთიერება; 5. ქვეყნის ნაწილი, ტერიტორია, რაიონი; 6. ცხენის მოსართავი; 7. ვაზი; 14. ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალით შეერთება, დაპყრობა; 16. მფრინავი სსრ კავშირის გმირი; 17. ჭებირი; 18. ზღაპრული შინაარსის იგავი; 21. ნიკარაგუის დედაქალაქი; 23. ვაზის რქა; 24. დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ნაწილი; 26. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 27. ა. ხაჩატურიანის ბაღეტი; 29. იაპონიის ფულის ერთეული; 31. ჩანაფიჭრი, აზრი, თვალსაზრისი.

კროსვორდი შეადგინა ც. აბაშუაქელმა

### მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარგმანად: 7. ტარასოვა; 8. სამაჭური; 9. ვატი; 10. პულკოვი; 12. ატრიბუტი; 15. „ტანგეიზერი“; 17. მარში; 19. ანაბა; 21. არმია; 23. თაფლი; 24. იკაბა; 27. ბარლო; 28. აგარა; 29. კრიმინალისტიკა.

შპუალად: 1. ბისკვიტი; 2. ფლავი; 3. სესია; 4. ტრადიცია; 5. ბროლი; 6. რურუა; 11. რენტგენი; 13. „ტრემბიტა“; 14. საფარა; 16. აპრილი; 18. შოთი; 20. „ნონა“; 22. ანტონიმი; 23. თალათინი; 25. ტრიკო; 26. მარაო.

გარეკნის პირველ გვერდზე: სინგაპური, არნოლდ გეგეკორი.

გადაეცა წარმოებას 7. 02. 89 ხელმოწერილია დასაბეჭდად 29. 03. 89. უე 09230 ქალაქის ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>3</sub>. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაში 5,89. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 300 ფასი 35 კაპ.

880096. თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ კვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 2, пр. Руставели, 42.

შვიდი საუკუნის წინ, 1309 წელს, პულჩა კატო — ქალაქ ტენოტიტლანის მცხოვრები სიკვდილით დაუსჯიათ იმის გამო, რომ იგი ხის ნაშხირს წვადა ქალაქის ქუჩაზე.

დღეისათვის მეხიკოში, მექსიკის დედაქალაქში, რომელიც განლაგებულია სწორედ იმ ძველი ტენოტიტლანის ადგილსამყოფელზე, ნამწვავი გაზის რაოდენობა ატმოსფეროში მეთია, ვიდრე ნიუ-იორკში, გოგირდის ორჟანგისა, ვიდრე ლონდონში, ხოლო ჰაერი გამონახობლებით ჭუჭყიანდება ათქერ უფრო მეტად, ვიდრე რეინის ველზე (რეინის ველი ითვლება ყველაზე უფრო განვითარებულ რაიონად წარმოების მხრივ მთელ დასავლეთ ევროპაში).

რა თქმა უნდა, ახლანდელი კანონმდებლობა გაცილებით ჰუმანურია, ვიდრე ადრინდელი, მაგრამ ასეთი ჰუმანურობაც კატასტროფამდე ხომ არ მიდის?

### პატენტის ქათამზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში საპატენტო სისტემა 1790 წელს შემოიღეს. ასორმაცი წლის შემდეგ მასში შეიტანეს შესწორება ახალი მცენარეების შესახებ და აი, ახლა მიმდინარეობს კამათი იმაზე, შეიძლება თუ არა გამოგონებად ჩაითვალოს ახალი ცხოველებისა და ცოცხალი ორგანიზმების შექმნა.

ბიოტექნოლოგიისა და გენური ინჟინერიის წარმატებით განვითარებამ ჩინში მოაქცია კანონმდებლები. თავვეში შეპყავთ ვირთხის ჰორმონი და ისინი ხდებიან ისეთივე ძლიერი, როგორც დისნეის მიკი-მაუსი. თამბაქოს ფოთლები, ღამით ანათებენ იმის გამო, რომ მათ შეურიეს ციციანთელების გენი. თხას ეზრდება ცხვირის ბეწვი და ასე შემდეგ. „მაგრამ რა რაჟის ნუ ექნება იმის იმედი, რომ ქათამს ექნება ოთხი ბარკალი, ან კიდეც ბაყაყი შეჯვარდება ძროხასთან“, — განაცხადა ამერიკელმა ბიოლოგმა...

ჭერჭერობით იურისტები კამათობენ, ხოლო ფერმერებმა შეამჩნიეს, რომ ღორებს, რომლებსაც შეუყვანეს ადამიანის ზრდის ჰორმონი მკვლე ზორცის მისაღებად, გადაეცათ მხოლოდ ისეთი ადამიანური ავადმყოფობები, როგორცაა არტრიტი და... სიღმე.

### სიყვარული... ბოთლიდან

არა მარტო უბედურ შემთხვევებს გვაუწყებს პაუდვო ფოსტა — ბოთლში მოთავსებული წერილები. როდესაც შოტლანდიელ ჯიმი კერსს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, მან დაწერა წერილი, სადაც მისი მისამართი აღინიშნა. მოთავსა წერილი ბოთლში, დაახურა საცობი და გადააგდო ზღვაში. ბოთლმა გაიარა ოთხასი მილი და მოხვდა ნორვეგიის ნაპირებზე, სადაც იგი ზღვიდან თოთხმეტი წლის ეკვი ოლრენმა ამოიღო. მან დაუწერა ჯიმს პასუხი, რომელიც უკვე ჩვეულებრივი ფოსტით გაუგზავნა.

ეხლა უკვე ჯიმი და ეკვი აღარ წერენ წერილებს ერთმანეთს — მას შემდეგ რაც ისინი დაქორწინდნენ და ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ.

### კოკა-კოლას საიდუმლო

კოკა-კოლა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სასმელია. თითქმის ასი წელია, რაც კონკურენტი ფირმების ქიმიკოსები თავს იტყავენ მისი შემადგენლობის ანალიზზე. დღევანდელი დღისათვის ცნობილია, რომ გარდა საიდუმლო ნაერთისა, რომელსაც ჰქვია „მერხანდი 7-იქს“-ი სასმელი თითქმის მთლიანად შესდგება გაზირებული წყლისაგან, დამწვარი შაქრის, ფოსფორმჟავას, კოფეინის, კოკას ფოთლისა და კოლის თილის ექსტრაქტისაგან. ფირმა არავის არ უშხელს ამ საიდუმლოს და არ ახეხს იმ პირთა ვინაობასაც, ვინც იცის ეს საიდუმლო. არსებობს ლეგენდა, რომ ეს ფორმულა იცის მხოლოდ ათმა პიროვნებამ მსოფლიოში. თუ ამ ბატონებს უცხად დაავიწყდებათ შემადგენლობა, ისინი უნდა შეიკრიბონ ერთად არა ნაკლებ შვიდი კაცის შემადგენლობით და წავიდნენ კომერციულ ბანკში „ტრესტ კომპანი ოფ ჯორჯია“, სადაც სარდაფში ცხრა-კლიტულის მიღმა, სეიფში დევს კონვერტი წარწერით, რომელიც შეიცავს „მერხანდი“-ის მთლიან ფორმულას.

რედაქციის მისამართი:  
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.  
რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 2, პრ. რუსთაველი, 42.





წიბნაბილან

ექსლიბრისი ნახატი ლადო გუ-  
ლაშვილისა





„გადასახლება“ ხარფუხიდან  
ლენინის ქუჩაზე (ფოტოშარჟი)



ი. გრიშაშვილი. ნახატი ელენე  
ახვლედიანისა



ფოტოშარჟი




ნახატი ს. ნადარეიშვილისა.

გამომცემლობა „ხელოვნება“ გამო-  
საცემად ამზადებს ღვით და თამი-  
ლა ბუზუკაშვილების მიერ შედგე-  
ნილ კრებულს სერიიდან „ღიმილი,  
ღიმილი...“ გთავაზობთ რამდენიმე  
შარჟს ამ კრებულიდან.



ი. გრიშაშვილის გაცელება ძვე-  
ლი თბილისიდან, ნახატი იოსებ  
ქოქიაშვილისა





### ჰარმონიის გაკვეთილები

ქართველ მხატვართაგან ერთ-ერთი პირველთაგანია თამარ გელაშვილი, რომელმაც ხელახლა აღორძინა და მაღალ ხელოვნებადღე აიყვანა სახალხო რეწვის სახეობა.

თქვა საუკომანო მასალაა, რომელიც განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს. მხატვრის ხალიჩებში შერწყმულია აკვარელის სინაზე და გრაფიკის სისალუქე. მართალია, ის ნამუშევრები ერთი შეხედვით უბრალოა, მაგრამ იგი შეიცავს დროისა და საკუთარი შემოქმედების განსჯის სასიკეთო მარცვალს. აღსანიშნავია, რომ თამარ გელაშვილი ხუთი პერსონალური გამოფენის ავტორია.